მიხეილ სააკაშვილი ძალიან რთულ მდგომარეობაშია, ის არის ძალიან მიძიმედ დამარცხებული პარტიის ლიდერი. მიხეილ სააკაშვილმა მოატყუა თავისი მხარდამჭერები, თავისი აქტივისტები. მიხეილ სააკაშვილი ატყუებდა მათ არჩვენების წინ, იცოდა ზუსტად, რომ დამარცხებისთვის იყო “ნაციონალური” განწირული, მაგრამ არასწორ მოლოდინებს უქმნიდა თავის აქტივს. დღეს, ბუნებრივია, ცდილობს ამ სიტუაციიდან თავის დაძვრენას. ამის გამო აკეთებს ის სხვადასხვაგვარ განცხადებებს. ის არის არეული და მისი მდგომარეობა არის გასაგები. სააკაშვილს უწევს მოტყუებული აქტივისტებისთვის მისი ახსნა, თუ რატომ უქმნიდა არასწორ მოლოდინებს “ნაციონალური მოძრაობის” მხარდამჭერებს.

“ნაციონალური მოძრაობა” ჯერ კიდევ არჩვენებში წაგებამდე იყო რთულ მდგომარეობაში.

“ნაციონალურ მოძრაობაში” არის სერიოზული კრიზისი, ეს პარტია არის სერიოზული დაპირისპირების ზღვარზე, რაც პრინციპში არის ლოგიკური შედეგი იმ პროცესებისა, რომელიც ბოლო დროის განმავლობაში განვითარდა.

საუბედუროდ, ნიკანორ მელიას უზრდელობა ყველაზე უშიშრო!

(ანუ, ვაშლი ყოველთვის არ ეცემა ვაშლის ხესთან ახლოს...)

ორმაგი სტანდარტებითაა გაჯერებული პოლიტიკური და არასამთავრობო სექტორი, მედია და ზოგადად – საზოგადოება. რამდენმა ნახა კადრები – როგორ შეურაცხყოფდა “ნაციონალური მოძრაობის” ერთ-ერთი ლიდერი ნიკანორ მელია ჟურნალისტებს და როგორ უემოციოდ და ურეაქციოდ წაიარა ამ ამბავმა... საუბედუროდ (!) შეირგო ყველა მხარე!

მოკლედ, რამდენიმე დღის წინ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობასთან, “ნაციონალური მოძრაობის” გამაფრთხილებელ აქციაზე, ნიკა მელიამ, ტელეკომპანიებს – „GDS“-ს, „იმედს“, „მეგისტროს“ და „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ ბოიკოტი გამოუცხადა!

“იმის გამო, რაც თქვენ დღეს იკადრეთ, თქვენთან ლაპარაკს არ ვაპირებ. თავს ვიკავებდი, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. კმარა, თქვენ ხართ ივანიშვილის ჯიბის ტელევიზია! არცერთ თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემას არ ვაპირებ!” – იღვა ნიკანორ მელია და ასე ჯირყვნიდა ჟურნალისტებს.

ხო, ჟურნალისტებს ჯირყვნიდა ის ნიკანორ მელია, რომელიც იმ პოლიტიკური ძალის ერთ-ერთი ლიდერია, რომლის სინდისზეც არის 2007 წლის 7 ნოემბერი და „TV-იმედის“ დარბევა.

იმ ნიკანორ მელიაზე გესაუბრებით, რომელიც იმ პოლიტიკური ძალის ერთ-ერთი ლიდერია, რომლის სინდისზეც “TV-იმედის” დარბევა, “TV 202”-ისა და “მზის” მაუწყებლობების შეჩერება და დახურვა; გესაუბრებით იმ ძალაზე, რომელიც გამომცემლობა “სამშობლოს” დარბევის ორგანი-

ზატორი და არაერთი სხვა მედია-საშუალების განადგურების მებრძოლს!

დაიხ, ჟურნალისტებს ტუქსავდა ის ნიკანორ მელია, რომელიც იმ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს, რომლის “მოღვაწეობაშიც”, გარდა ტელევიზიებში შეგარდნის კიზოდებისა, გეხვდება პოლიტიკების განქრებას და კონკრეტული ჟურნალისტების დატერორების ფაქტები!

ისიც გემახსოვრებათ, აკაკი ბობოხიძემ ირაკლი იმნაძეს ხელი რომ გაართვა... არც ის დარჩებოდა თქვენი მეხსიერების მიღმა – 2011 წლის 26 მაისს როგორ გაუსწორდნენ ფიზიკურად ჟურნალისტებს – მათ შორის, ყველაზე სასტიკად, იმ დროს “სასაგად-დასაგადის” ჟურნალისტს და დღეს უკვე მედიოპოლიტიკურ “რეპორტორს” გენერალურ დირექტორს გიორგი მამაცაშვილს და ასევე, გახუტ “სასაგად-დასაგადის” ჟურნალისტს ბექა სიხუცაძეს.

დაიხ, ეს ის ნიკა მელიაა, რომელიც ახლო წარსულში, „იმედის“ ჟურნალისტს, გურამ როგავას, სიტყვიერად იმის გამო დაუპირისპირდა, რომ ჟურნალისტმა კითხვა დასვა. შეხსენებისთვის: “ნაციონალურმა მოძრაობამ” ბოტანიკურ ბაღში ჟურნალისტებს ის ადგილი დაათვალიერებინა, სადაც მათი ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილი ჰესის აშენებას აპირებდა. ჟურნალისტმა მელიას კითხვა – დოკუმენტებში ივანიშვილის კვალი იკვეთება თუ არაო და მელიამ არც აცხია, არც აცხელა და – “ამ შეკითხვას მარტო „იმედი“ თუ დასვამდა, ლოგიკურად იაზროვნეთ, სხვას ვის უნდა სჭირდებოდეს ჰესის”, – ჩხუბი დაიწყო. ანუ, თუ ჟურნალისტს მელიასთან კითხვა გაუჩნდა და ნათქვამის დოკუმენტურად დასაბუთება სთხოვა – მიკერძოებული და ცუდი ჟურნალისტი.

თურმე, ამათ სიტყვაზე უნდა ვენდოთ. მოკლედ, როცა მოელი “ნაციონალური მოძრაობის” წარსული ჟურნალისტების შეურაცხყოფა და ჩაწიხვის მცდელობაა, ზუსტად ვიცი, არც არავის გაუკვირდება ნიკანორ მელიას ასეთი დამოკიდებულება მედიის წარმომადგენლებისადმი. მათი ჩვევაა ეს – მთავარია, “რუსთავი-2”-ის პატივცემულ ჟურნალისტებს და ბატონ “რუსთავი-2”-ს არ შეეხოს ვინმე, თორემ დანარჩენი რა მოსატანია და რა სალაპარაკო! აბა, წარმიდგინეთ, მსგავსი რამ “ნაციონალური მოძრაობის” კარის მედიისთვის (!) “რუსთავი 2”-სთვის და მისი ჟურნალისტებისთვის რომ ეკადრებინა ვინმეს, ხომ შეძრავდნენ მსოფლიოს?! ხომ ვიცი, ბატონებო?!

გიცი, სისხლში აქვთ “ნაციონალურ მოძრაობას” და მის წარმომადგენლებს მედიის სიძულელი და ამას ახერხებენ ყველა ფლანგიდან – მთავრობაში იქნებიან, თუ ოპოზიციაში... სადაც არ უნდა იყვნენ, მინც მოახერხებენ და მიაყენებენ შეურაცხყოფას ჟურნალისტებს და რაც მთავარია, დაუმსახურებლად, უსამართლოდ და ამ ყველაფერს, ყველა შეირგებს!

ასე არ არის? – ვინმემ გასცა, თუნდაც ზრდილობიანი პასუხი მელიას უზრდელო ცინიზმზე? არა! არადა, სამწუხაროდ, დუმილი ყოველთვის არ არის ოქრო... P.S. “ცოდვა” გამხეილი სჯობს... ეს, ის ნიკანორ მელიაა, რომლის მამაც, ანზორ მელია – ცნობილი კარდიოლოგი, დამსახურებული ექიმი და არაერთი ჟურნალისტის ქომაგი და მეგობარია, და რომელსაც ჟურნალისტებთან, არასდროს არაფერი შეშლია! სამწუხაროა, მაგრამ, თურმე, ვაშლი ყოველთვის არ ეცემა ვაშლის ხესთან ახლოს...

დიანა ლიპარტიანი

კითხვა ფრედი რაიანისგან გონივრული

რად არ გვმზობავს? ვინ და რატომ მისცა ვიზა, რად გაუღო კარი რიზამ, ძებნილს, ვინც არ ფარავს მიზანს, რომ უამრავ ფარსავს იზამს? როცა ძალზე სარფიანი შეთქმულებისთვის სარფი არი და ჰგონია თავის ქებად სისხლისღვრა და ამბობება! ნუთუ არვის არ აშინებს, რა ძაფები აკავშირებს დე ფაქტოდ და დე იურედ გიულის და გიულიენს და თემურის – მიშას ბიძას? რად არ გვევძობავს, რად არ გვევძობავს? ბატონო რედაქტორო, მიმარჩია, რომ თურქეთის ქალაქ რიზაში სააკაშვილის ყოფნას აუცილებლად უნდას მიეცეს სათანადო და დროული შეფასება

დანიამიანი გზა პასუხად „ხუთიანი“ ამომხუთველ ორმოცდახუთს მწარე ხსოვნა შეგვრჩა ცოცხლებს და როდესაც ვიღაც ცოცხებს, გვირჩევს ცოცხებს და კვლავ ცოცხებს გვიბრძობა, დაფიონის ამ ფიორი სიყვალბით და აფიორით ჩვენი ზეცა აღარ დაიბინდება!

ვისაც უნდა რიარია, სწორედ მისი პიარია მოწოდება მავანთა; ლაშა ხარ თუ ნიანია, არა მარტო გვიანია, – ვერ გრძნობთ, რომ ნაგვიანია გზა უკუღმა მავალთა?! ალექსანდრე შენგელია

მალმარო, მარბალევი

ჯერ აფხაზებს გადავუვლით, დავბრუნდებით და დედას მოგ-თ, მეგრელებო!

შენდრონელები რსძინი ლიმას ქომოლობა ოკო, ლიმას ოკო დიდი ნმალა, ლიმას გერგეხევი ოკო, ლალსუ ლიმა ვადვანძალათ... ქიეფშინათ, მალიმარი მამელუქეფიში ცქეფავა, ლეკურიში მორქია დო ცხენ-კიდირით ეკონთხავა... ვაარწყეთო, გვალე მავნა დუღმა მინოლუაფირი, მარგალ დიხას ქითოდვასგ ზურა, რაკვალ ელაფირი... მალიმარო მალართითე, მიდვას აძახ ბოშიშ გური, ზოხო-ზოხო ვექიმინე ოქიმნალი ოცქეფაფური... ჩქი – მარგალემს მითინწკუმა დანდურაფალ ვემეჯდონა, კორ მოკონა, ნამსით უჩქე მოლიმეფიშე ეწოჯდონა... მუჟამს ართო ქიპითენი ჩქიმდა მითინს ვეწარინე, ართო ეკიბათუთენი თენეფს განთხზა ვევიარინე... აბა, არმაქ გეხაზირთო, მალიმარო, მალიმარო, გურმანგარო ქიეგედირთათ ომარგალეშე მთხილარო... რამაზ კუპრა

ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზოვერში სამმართველოს 1945 წლის დირექტივა

(ალენ ლანის დოკუმენტი – დასასრული)

დამტკიცებულია, რომ ადამიანებმა და მისმა უახლესმა წინაპრებმა, როგორც ყველა ჯგუფურად მცხოვრებმა ცხოველებმა ევოლუცია განიცადეს. ბუნებრივი გადარჩევის ჯგუფური ფორმის ძლიერი კონტროლის ქვეშ, როცა უჯობობიან არა იმდენად ინდივიდები, რამდენადაც ჯგუფები, ყოველ ასეთ ჯგუფში, ისევე როგორც ადამიანთა საზოგადოებაში, ეთოლოგების დასკვნით იმარტივებული წყობა გარდევია, რადგან არ სურსოში ჩვენ სხვა პროგრამა არ გავანია. „არ არის პროგრამა, არ არის რაიმე ფიქტური ქცევა“. თუ გვინდა წესრიგის დამყარება თუნდაც ორ ადამიანს შორის (მფრინავების ან კოსმონავტების შემთხვევაში), ერთ-ერთს უფროსად ვინაწინ ვთავაზობთ დაქვემდებარების პრინციპს. ჩვენი საზოგადოების ძირითადი უბედურება ის არის, რომ ძველ, ძირითად პროგრამებთან ერთად განდაც მცირე, მაგრამ ახალი პროგრამები, რითაც იმართებიან საზოგადოებრივი ჯგუფები. დომინანტი შეიძლება გახდეს საზოგადოებისათვის საშიში, ამორალური, გაუწონასწორებელი და ფსიქიკურად დაავადებული პირი. საკმაოდ ხშირად ხდება, რომ ყმაწვილი, რომელიც ბავშვობაში სუსტი და დანაგრული იყო ხშირად აკვებდა შეტაკებებს თანატოლებთან, მოზრდილებთან ბროლას „რანგისათვის“ სხვადასხვა საშუალებებით – ინტრიგებით, სხვისი შევიწროვებით და დევნით ახდენს. თუ მოახერხა ძალაუფლების მოპოვება, მას აუცილებლად ბოროტად გამოიყენებს.

კაცობრიობა ათასწლეულების წინ გრძობდა ამ საფრთხეს და ინტექტებთან ბრძოლაში გონება მას ერთ იდეას, ჯგუფში ყველა ადამიანის თანასწორობას უპირისპირებდა. კრძალავდნენ ყოველგვარ დაქვემდებარებას, ჯგუფიდან აძევებდნენ, ან სულაც კლავდნენ რაიმეთი გამორჩეულს, რის შედეგადაც ღებულობდნენ ანარქიას, რომლის დროსაც ძალაუფლებას აუცილებლად ამორალური, ფსიქიკურად დაავადებული პირი ეპატრონებოდა, რაც ჩვენს თავზე სულ ახლახანს გამოვცადეთ. ამიტომ საზოგადოების მართვის (წყობის) ერთადერთი გზა არის ურთიერთ დაქვემდებარების პრინციპი. ამას მოითხოვს ადამიანთა ბიოლოგიური არსი.

ყველა ნორმალურად ფუნქციონერებადი სახელმწიფო აგებულია ურთიერთდაქვემდებარების, ეგრეთ წოდებულ პირამიდის პრინციპით. წვეროს 10% უკავია სახელმწიფო მართვლობას. მის შემდეგ მოდის სახელმწიფო ინსტიტუტების 20% (ჯარი, პოლიცია, პროკურატურა და სხვა). დარჩენილი 70% არის საზოგადოების ის ნაწილი, ვინც მატერიალურ და ინტელექტუალურ დოვლათს ქმნის. პირამიდის წვეროზე სტიქიური დომინანტის ნაცვლად, იერარქიის უმაღლეს საფეხურზე, წამყვან მდგომარეობას

იკავებს პიროვნება, რომელიც ჯგუფმა აირჩია, ან დანიშნა საკმაოდ რაოდენობის დადებითი თვისებების გამო.

რა წყობის მატარებლები ვართ ჩვენ, ქართველები? ალბათ ორი ერთმანეთთან წვეროებით შეერთებული პირამიდები. ზედა პირამიდა სახელმწიფო მმართველობაა, ქვედა ხალხი. არ ვიცი, ამ პირამიდებს შორის ვერანაირი კავშირი ვერ გამოვჩინებ, ალბათ ერთი, წარსულში საერთო, წინაპრები გვყავდნენ. მათი აზრები, მორალი, მიღებული კანონები, ქმედებები, თითქმის ყველა სფეროში ხალხის მოთხოვნისაგან რადიკალურად განსხვავებულია. ხმების სამათხოვროდ და მოსასყიდად, მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელ, მცირე დროით, ხალხს „დასაბოლოებლად“ ჩამოდიან ციდან დედამიწაზე ათასგვარი დაპირებებით.

ვინ არის ეს ხალხი, ვინც თავს პოლიტიკოსებად მოიხსენიებს? თუ უნახავს ვინმეს მათი პოლიტიკურ-ფილოსოფიური ნაშრომი? არანაირი შემოქმედება, ყოველგვარი ანალიზის გარეშე ბრძადა „გვტყუიან“ და თავს გვახვევენ ევროპულ კანონებს. სად არის აქ დემოკრატია? ვინ ეკითხება ხალხს? არა და გვარწმუნებენ დემოკრატიულ სახელმწიფოს გაშენებთ. თუ რა დამართა ევროპულმა კანონებმა თვითონ ევროპას, სახეზეა. დღეს ექსპერტები მას ბებურ ევროპად მოიხსენიებენ და უახლოეს მომავალში იქ მცხოვრები თეთრი რასის გადაშენებას წინასწარმეტყველებენ. ეს ის ცხოვრების წესი და კანონებია, რომელმაც ევროპა ამ დღემდე მიიყვანა. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, ევროპულ ცხოვრების წესსა და ფონიან კამფეტებზე დახარბებულები, ჩვენი უთაობითა და „მეგობარი“ ქვეყნების აქტიური დახმარებით, ღრმა ტკიბილ ძილში მყოფები ისეთი გულმოდგინებით ვანგრევთ ქვეყანას, რომ ევროპელებს დროსა და ხარისხშიც გაუწესდით. სულ რაღაც 25 წელში მოვახერხებთ და გავანახვერეთ ჩვენი მოსახლეობა, განათლებურთ ეკონომიკა, მოვსაპოვებთ, დაეკარგეთ რუსეთის მიერ შეკოწიწებული ტერიტორიები. დანარჩენი ყველამ თვითონ დაამატოს.

მაინც ვინ არის ეს ხალხი ვინც დღეს ჩვენ ქვეყანას მართავს? მე მათ იმ ქაფს ვაღარებდი, კახელ კაცს (ისინი ამ საქმეში პირველები არიან) ხაშლამის ხარშისას სუთა წვერის დაყენებაში ხელს რომ უშლის და მოცილებს ჭირდება. ვფიქრობდი, ქაფის მოცილებით ქვეყანას ეშველებოდა, რომ არა ერთი კარგი მეცნიერული ცდა. მეცნიერებმა თავგების გარკვეულ ჯგუფს საკვების მოპოვების ხერხები შეასწავლა (თავები ადამიანთა მსგავსად საზოგადოებებს ქმნიან). საკვების მოპოვებისას, საზოგადოება მყისვე ორად გაიყო. აქედან 80% საკუთარი შრომით მოიპოვებდა სარჩოს, დარჩენილი 20% ძალადობდა ან ქურდობდა. საზოგადოებას მოაცილეს რა მუქთახორები, სულ მცირე დროში თანაფარდობა მყისვე აღდგა. ეს ბუნების კანონია. მისი ევოლუ-

ციური გზით შეცვლა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და მისი დაჩქარება მხოლოდ გენეტიკურ ჩარევით არის შესაძლებელი. ჩვენი ძირითადი უბედურება არის ძალაუფლების უნებური შეპყრობილი, მუქთახორების გაცილებით მაღალი პროცენტი.

არავინ იფიქროს, რომ ვინც შენზე ძალაუფლების მოპოვება გადაწყვიტა, მას შენს სასიკეთოდ გამოიყენებს. ესეც ბუნების კანონია. დომინანტობაზე მოძალადე პიროვნება საშიშია. ხალხს უნდა იცნობდეს და ენდობოდეს. ქართულ სუფრაზე თამადას (დომინანტს) ყოველთვის ხალხი ირჩევს.

როგორც კახელი მზარეულისათვის ქაფის, ასევე საზოგადოებისთვის მუქთახორების მოცილება, საკმაოდ მტკივნეული პროცესია. საზოგადოებრივი თვალსაზრისით ამ პროცესს რეგულაცია ჰქვია. რაც მივიღეთ 2012 წლის ოქტომბრის პატარა უსახელო დემოკრატიული არჩევნებიდან, სახეზეა. დიდ ურდოდან მიღებული დირექტივებით, ქაფს ქაფი დაგვამატებინეს, პროცესი „კოაბიტაციად“ მონათლეს და სუფთა ხაშლამის ვინ ჩივის, ამღვრეული წვერით „გვეჭვიპავენ“. გვეჭვიპებინან, დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენებთ და არა გაქვთ უფლება ქვეყნის დამაქცევლები დასაჯოთ. არა და ამას ის „მეგობარი“ ქვეყანა გვეუბნება, რომელშიც „ხალხის“ არჩეულ პრეზიდენტებს, ერთი მუჭა ხალხის ინტერესებისაგან განსხვავებული ქმედების გამო ორშაზრად ავორებენ. ქვეყანას აცხოვრებენ რუსეთის შიშით (იდეოლოგია) და ქვეყნების ნაძარცვი ქონებით (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ოქროს მარაგის 2/3-ს ამერიკა ფლობდა, აქედან მხოლოდ საფრანგეთმა მოახერხა საკუთარი ოქროს დაბრუნება, რასაც დე გოლის პრეზიდენტობა შეეწირა (არის ვერსია, საცაფი-7, რომელიც ტყუპების სარდაფში იყო განთავსებული, სადაც ჩინეთის ოქრო ინახებოდა. იგი აფეთქების შემდეგ (ვარდოლი აღმოსდა). ქვეყანა, რომელსაც ისტორია არ გაანია, ძალადობაზე აგებული და სხვადასხვა ერების კონგლომერტს (აჯაფსანდალს) წარმოადგენს, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ხეობით, სარწმუნოებით და ა. შ., ერების მოსასპობად, დაღესის პროგრამით გათვალისწინებულ ყველა საშუალებას იყენებს. ბიბილო-გადაკრულმა ნაცებმა პასპორტიდან გაგვექრეს ეროვნების ჩანაწერი, წინ წამოსწიეს და უმაღლეს დონეზე აიყვანეს სექსის თემა, რაც გენოფონდის გადაშენების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. ფართოდ გავრცეს კარიხების გადასხვა სექტებსა და სარწმუნოებებს, რასაც დიდი დამანგრეველი ძალა გაანია. რა დღეში იყოფება დღეს არაბული სამყარო, როგორ დაატრეს დიქტატორებს თავები, როგორი დემოკრატია დაამყარეს და რა დღეში იმყოფებიან დღეს ეს ქვეყნები, ამის დანახვას დიდი ფილოსო-

ფოსობა არ ჭირდება. ჩვენმა ვაიპოლიტიკოსებმა სულ მცირე დროში მოახდინეს საზოგადოების დაცალკეება (ცუდი კორუმპირებული მასწავლებელი და ექიმი, ჩარეცხილი ინტელიგენცია, და ასე უსასრულოდ), ადამიანებს შორის დათესეს უნდობლობა და ურთიერთშიში. ამ ჩამონათვალს კიდევ ბევრი შეიძლება დაემატოს. არაფერ ამაზე ქოცები ნაცებს არ ეღაპებინან, პირიქით, მათ ქმედებებს ახლა უკვე პარლამენტში სათანადო კანონების მიღებით ამტკიცებენ. ესენი ორივე ერთი და იგივე „მეგობარი“ ქვეყნებისგან თავს მოხვეული იდეოლოგიის მატარებელი ხალხია და ერთი ხელით იმართება. ამას ადვილად დინახავთ არჩევნების წინ. ზოგი დიდ ურდოში დარბის „საქმის ჩასაწყობად“, ზოგიც „საქმეს“ ადგილზე აგვარებს.

ვინ გვმართავს? რას ეფუძნება ჩვენი დემოკრატიული წყობილება? მმართველობაში გვეყავს: პრემიერი, პრეზიდენტი (დღემდის ვერ გაურკვევიათ საკუთარი უფლებამოვალეობები). თითქოს ბევრი გვექონდეს და თავზე გადმოვავლიოდეს, პრეზიდენტიც გავიხადეთ სარჩენად. პარლამენტი თითქოს ხალხის ხმისა და აზრის გამტარებელია.

არასამთავრობო. მალე მათ უკითხავად საკუთარ ცოლთან ვერ დაწვები, ან ბავშვს ვერ მოეფერები, ციბირი უკან დაგრჩება. მათი აზრების უარყოფის შემთხვევაში პატრონებთან გარბიან „ჩასაშვებად“.

მეოთხე ხელისუფლება – მასმედია, რომელსაც ლომის წილი უდევს ხალხის გამოთავყანებასა და ქვეყნის ნგრევაში. ძალაუფლების უნებური შეპყრობილი, საქმეში ხელმოცარული, რამდენიმე კაცისგან შემდგარი ოპოზიციურ-პოლიტიკური პარტიები. რატომ მოიხსენიებენ თავს ამ ფორმით ჩემთვის გაუგებარია. მათი გენერალური ხაზი და იდეოლოგია ერთია – ნატო, ევროკავშირი. ცნობისათვის: ჩინეთში პარტიების რაოდენობაა 12. თითოეულ პარტიაზე მოდის 108.966.083 სული მოსახლე. საქართველოში რეგისტრირებულია 220 პარტია. თეორიულად თითოეული პარტიის იდეოლოგიის გამოხარბეულია 20.337 მოსახლე. „აი, ამას ქვია ქართველების ერთად დღობა“ კიდევ ბევრის დამატება შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია მარტივი დასკვნის გამოსატანად:

ჩვენ თავს მოგვახვევს მართველობის ანარქიული სისტემა, რაც ბუნებაში არ არსებობს, სადაც არავინ არაფერზე პასუხს არ აგებს. ასე თავმოჭრილებს, გემართავენ ჩვენი „მეგობარი“ ქვეყნის ხელით ბიბილოგადაკრული ჩინოვნიკები. ქვეყნის უბედურება ის არის რომ გვარწმუნებენ დემოკრატიულ სახელმწიფოს გაშენებთო რაც ხალხს დიდი ხანია არ სჯერა. წარმოდგენისათვის, ჩვენი ქვეყნის მმართველობა იგივეა, რაც ქართული სუფრა თამადის გარეშე.

რომან კენიოზვილი, მეცნიერებათა დოქტორი

რეპორტაჟი ზვიად გამსახურდიას ფოტოგრაფის ფოტოგრაფიდან

ჩვენ ყოველთვის დიდ ადამიანებზე ვწერთ, მაგრამ რატომღაც გვაიწვევებიან ის პიროვნებები, ვინც თავისი მორალური უნებური შრომით დიდ სამსახურს უწევს საზოგადოებას და მათ გარეშე ცხოვრება არამც თუ გავიჭირდებოდა, არამედ საერთოდ წარმოუდგენელი იქნებოდა. ჩვენი გაზეთის წინანდელ ნომერში გაგაცანით ზუგდიდელი მეწაღე ნოდარ დარასელია, ახლა კი გაგაცნობთ ზუგდიდში მცხოვრებ ფოტოგრაფს ბატონ აკაკი ყუფუნიას.

აკაკი ყუფუნია, ცნობილი პერსონაა იმ ადამიანებისათვის, ვინც ფოტოგრაფიით არის გატაცებული. 60-წლიანი გამოცდილება და ათასობით ფოტო – ეს მისი მთავარი სიმდიდრეა 80 წლის ასაკში. უმოგზაურია თითქმის ყველგან, სადაც საბჭოთა კავშირის დროს ხერხდებოდა წასვლა... ახლა ზუგდიდის ცენტრში პატარა ოთახი აქვს, სადაც მსურველებს სამახსოვრო თუ საპასპორტო ფოტოებს უღებს. შემდეგ ამჟღავნებს და ამით ფოტოების გადაღების სურვილს იკლავს.

„ციფრულ ფოტოაპარატზე გადავიღე, ჩემმა შეიღმა მანუქა, თორემ ჩემი ფოტოაპარატები მიღვეს სახლში, 30-მდე მექნება“. 80 წლის ფოტოგრაფი ამბობს, „რომ შემეძლოს თავიდან ავირჩიო პროფესია, ისევე იფიქვს ვიზამდიო“.

„პირველი ფოტოაპარატი ჩემმა ძმამ მანუქა, 35 კადრიდან, რომელიც გავამჟღავნე 27 კარგი გამოვიდა, არავის სჯეროდა რომ ჩემი გადაღებული იყო. მშობლებს უნდოდათ ბუღალტერი გამოე-სულიყავი, მაგრამ ფოტოგრაფიის სიყვარულმა მძლია. მას შემდეგ სულ ფოტოებს ვიღებდი, იმდენი ფოტო მაქვს გადაღებული, ვერც კი დავითვდი. ყველგან დავდიოდი, ყველაფერს ვიღებდი, ადგილობრივი რედაქციისთვის საიდუმლო კადრებსაც კი ვიღებდი, მაშინ ყველა მიცნობდა, რაიომის მდივნებიც კი.“

იმ დროში რთული იყო, ფოტოს გადაიღებდი და მხოლოდ მიახლოებით შეგეძლო წარმოგედგინა, როგორი შეიძლებოდა გამოსულიყო, ან გამოვიდოდა ან არა. ახლა კი ფრიად მარტივია ყვე-

ლაფერი, უამრავი პროგრამაა, თუ არ გამოგივა გამოასწორებ, ყველაფერს ხელაგ რასაც იღებ, მაგრამ ესეც მომწონს, კარგია ახალი რაღაცეები. აი, მეც ციფრული აპარატი მაქვს, გადავიღებ ფოტოს და ვამჟღავნებ. აღარ შემიძლია გადაღება, ვეღარ ვიღებ ისეთ ფოტოებს, როგორსაც ვიღებდი, მაგრამ კიდევ ვახარებ ადამიანებს. ექსკურსიებზეც დავეყვები ბავშვებს, ფოტოებს ვუღებ. ადრე ყველა მიცნობდა, ახლა მარტო ძველები, ვინც დარჩნენ ზუგდიდში“ – გვიყვება აკაკი ყუფუნია.

ზუგდიდში ჩასული ყოფილი პრეზიდენტების ორი ფოტოგრაფი შეგახვედრეთ ერთმანეთს: ზვიად გამსახურდიას ფოტოგრაფი აკაკი ყუფუნია და მიხეილ სააკაშვილის ყოფილი ფოტოგრაფი ირაკლი გედენიძე – ორი სხვადასხვა დროის ფოტოგრაფი, ორი პროფესიონალი და რაც ყველაზე საინტერესოა, ორივე ყოფილი პრეზიდენტის ფოტოგრაფი...





„ეჭვი არ მიპარება, რომ თარგამაძის მანქანის აფეთქება სააკაშვილმა დაგეგმა“




მასმედია დეპუტატ გივი თარგამაძის ავტომობილის აფეთქების თემაზე სტატიების ციკლს აქვეყნებს, რომელთაგან ერთ-ერთია – „აფეთქებაში ბრალდებული უკრაინიდან 30 ივნისს ჩამოვიდა?“ (და არა რუსეთიდან, როგორც ამას ამტკიცებენ ტერაქტის რუსეთისათვის გადაბრალების მსურველი ნაციონალები).

ქტემბრამდე, შს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მეხუთე სპეციალურ ოპერატიულ მთავარ სამმართველოში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა, ერთ-ერთი ინფორმაციით, 2016 წლის 20 მაისიდან 30 ივნისამდე კი უკრაინაში იმყოფებოდა. გამოძიება უკრაინაში მისი ვიზიტის მიზეზებს არკვევს, – წერენ ჟურნალისტები.

იმასაც კი ამბობენ, რომ დარჩო ხეჩუაშვილმა „ნაციონალებს“ არჩევნებისთვის 5.000 ლარი შესწირა. მას შემდეგ, რაც დარჩო ხეჩუაშვილის სახელი და გვარი თარგამაძის ავტომობილის აფეთქებას დაუკავშირდა, ბუნებრივია, მედია დაინტერესდა მისი ვინაობით. ხეჩუაშვილის მამა აცხადებს, რომ მისი შვილი რამდენიმე დღეა, რუსეთში წავიდა სამუშაოდ. გარდა ამისა, მამა-ხეჩუაშვილმა მისი შვილის ბიოგრაფიიდან საინტერესო დეტალებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, ხეჩუაშვილი პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის შემდეგ მოწოდებული ტერაქტის გამო დაკავებულიც კი იყო.

„გივი თარგამაძის ავტომობილის აფეთქებაში საგარაულო ექსპერტიზის, 1974 წელს დაბადებული, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი სპეცრაზმელი დარჩო ხეჩუაშვილია. როგორც ცნობილია, ხეჩუაშვილი „კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის“ სპეცრაზმში მსახურობდა 2012 წლამდე. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი დარჩო ხეჩუაშვილი უკრაინაში გადავიდა... საქართველოში უკრაინიდან 2016 წლის ზაფხულში დაბრუნდა.“

ნიმუ მიქიაშვილი: როგორც იქნა, თქვენი განხარების შესაძლებლობა მომეცა



„როგორც იქნა, თქვენი განხარების შესაძლებლობა მომეცა“, – წერს ჟურნალისტი ნიმო მიქიაშვილი სოციალურ ქსელში. „ბოლო ერთი წელია გაბრუნდებით სიურპრიზს და როგორც იქნა, თქვენი განხარების შესაძლებლობა მომეცა (იმთ საყურადღებოდ გამოიხატეთ, ვისაც ეს ამბავი ჩემსავით უხარია) – ჩემი წიგნი „მერაბ კოსტავა“ ქართულ-აფხაზურად გამოიცა. შეგახსენებთ, რომ წიგნი ბიოგრაფიული ჟანრისაა და მისი პირველი გამოცემის წარდგინება 2013 წლის 13 ოქტომბერს ხარაგაულის რაიონში, სოფელ ბორითთან (იქ, სადაც მერაბ კოსტავა დაიღუპა) გაიმართა. 13 ოქტომბერი მერაბ კოსტავას გარდაცვალების დღე იყო – ზუსტად 27 წლის წინ, 1989 წლის 13 ოქტომბერს იგი სოფელ ბორითთან საეჭვო ვითარებაში მომხდარ ავტოკატასტროფაში გარდაიცვალა. 27 ოქტომბერს საქართველოში აფხაზური ენის დღე აღინიშნება. ჩემი წიგნი დაახლოებით ორი თვეა დაბეჭდილია. აფხაზური ენის სხენების დღეს და არჩევნების ციებ-ცხელების გადავლას ველოდებით. თუ ვინმე დასვამთ კითხვას – რატომ აფხაზურად ვინ დააფინანსა წიგნის გამოცემა და გაიყიდება თუ არა? – ამდაგვარ კითხვებზე პასუხს 27-ში გავცემ“, – წერს მიქიაშვილი „facebook“-გვერდზე. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში მერაბ კოსტავა ზვიად გამსახურდიასთან ერთად აქალიბებს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფს. საბჭოეთის წუმბეში მათ შემოქმედებლად იცნობდნენ. არც მაშინ გაკეთილშობილებულა მათი რენომე, როცა ეს „კეთორენები“, ადამიანის უფლებების დაცვისთვის ნობელის პრემიაზე წარადგინეს. მათ ცხოვრებაში მიძიმე, მტანჯველი და სევდიანი დღეები უფრო ბევრი იყო, ვიდრე ყოფილი ხიბლი, მაგრამ ყველაზე აღმატებული და ნათელი დღე მოუტანეს ჩვენს ხალხს – საქართველოს დამოუკიდებლობა.

ბავშვობის შემდეგ – სიკვდილამდე, იყო მხოლოდ ციხე, გადასახლება, დევნა, დამცირება... გამონაკლისს გარდა ყველა განიკითხავდა. ისინი, ვინც მათ მიერ დასახულ მიზანს წინააღმდეგობისგან დაქანცული შუა გზაზე ტოვებდა, არჩევს ელანდლათ, ჩეკისტების ჭორები გავერცხლებინათ, ვიდრე ვლიარებინათ, რომ ამ ორ გრივალთან სიოდაც ვერ ივარგეს. დიდი მცდელობების მიუხედავად, საქართველოს სიყვარულით შეპყრობილები, ერთმანეთს ვერ დააშორეს. იმდენად სწუროდათ თავისუფლება, რომ ამ ორი, სრულიად განსხვავებული შინაგანი მოწყობის ადამიანს შორის ხარვეზი არასდროს ყოფილა. დიდი ადამიანები იყვნენ, მაგრამ სულ თავდახრილებმა განვლეს ცხოვრება. ვინც მათ ურთიერთობას იცნობდა, დაგვეთანხმება, რომ მსგავსი ურთიერთობების ცემას მხოლოდ წიგნებში შეიძლება შეხვდეთ. თითქოს პირობა ჰქონდათ დადებული, ისე იგრძნობოდა სუბორდინაციის სიმკვეთრე. მერაბისთვის ზვიადი იყო გენიალური აზრების გენერატორი. მისგან ყველაზე ხშირად ამ ფრაზას გაიგონებდით – ზვიადს კეთილი. ზვიადისთვის თერაბი იყო მთავარი საზრუნავი, ძმაც, მეგობარიც, თავდადებულის სიმბოლო. ახლაც არ ვიცი, იმ მახინჯ დროებაში, როგორ არ მიეკარათ ტალახი. როგორ შეძლეს, ერთმანეთის სიყვარულით არ დაღლილიყვნენ. მიკვირს, რადგან მეგობრობა ადვილი გასატანი მაშინაა, თუ ურთიერთობა სიყვარულს და დროს ეფუძნება, მაგრამ ნამდვილი ნაცოცრებაა, თუ ის ერთად საქმის კეთებას ეფუძნება. რადგან ინიციატივის მარცხის ან გამარჯვების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ორს არასდროს ეკისრება, ერთია მხოლოდ მეორეს გადასახედიდან დამნაშავე და სწორედ, აქ იმენს ხოლმე ადამიანური ცდუნებები თავს. ბევრჯერ უთქვამს, რომ ამ ორ ადამიანთან შეხვედრამ, მთლიანად შეცვალა მრავალი ადამიანის ცხოვრება. 1989 წლის 13 ოქტომბერს მერაბი აღარ იყო. ალბათ, ზვიადიც მაშინ დამთავრდა, დანარჩენი დროის საქმე იყო. მერაბი ისე წავიდა ამ ცხოვრებიდან, რომ მიზნისთვის გადებული სიკეთის ვერ შეხვდა. ზვიადმა კი მის ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი დღე – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მერაბის ხსოვნას მიუძღვნა. 13 ოქტომბერი მუდამ დარჩება დღედ, რომელმაც ერთი ოჯახი კი არა, მთელი საქართველო დააობლა, ის საქართველო, რომელმაც მერაბ კოსტავას სახელად ერის სინდისი უწოდა! როგორც ანალიტიკოსმა არჩილ გამზარდიამ აღნიშნა: „ბოლო ათწლეულების საქართველოს ძირითადად სასირცხვილო ადამიანები ასენდებდა, რომელთა განხილვაც სირცხვილის განცდას გვეგვრის ხოლმე, ალბათ ორიოდე ადამიანი თუა, რომლის წინაშეც ქვეყანა ვალშია და ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი იშვიათი მათგანი მერაბ კოსტავაა...“

სიმართლეს თუ ვიტყვით, მერაბ კოსტავას გარდაცვალების დღესაც და დაბადების დღესაც, სახელმწიფო ნაციონალურ დონეზე უნდა აღინიშნავდეს, იმედია, როდისმე მაინც გვეყოლება ასეთი ხელისუფლებაც და ასეთი საზოგადოებაც, რომელიც ამას გააკეთებს.

„ვიხილ სააკაშვილს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაამატებაში აღანაშაულებანი“

უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიურო ოდესის საპორტო ქარხნის ღირებულების შემცირებასთან მიხედვით, სააკაშვილის შესაძლო კავშირს გამოიძიებს. როგორც სააგენტო RBK-Украина იტყობინება, ამის შესახებ ნათქვამია უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილის, სნაზარ ხოლოდნიციის განცხადებაში. გამოძიება უკრაინის რადას რამდენიმე დეპუტატის მიმართვის საფუძველზე დაიწყო. 2016 წლის 12 სექტემბერს ფრაქცია „სახალხო ფრონტის“ დეპუტატებმა, ნიკოლაი კნიაჟინიკი, პავლე პინზენუკმა, ალექსანდრ დროზდიკმა და „პეტრო პოროშენკოს ბლოკის“ დეპუტატმა დიმიტრი გოლუბოვმა უკრაინის გენერალურ პროკურატურაში შეიტანეს განცხადება, რომელიც ოდესის საოლქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მისამართით ბრალდებებს მოიცავდა. კერძოდ, დეპუტატები მიხილ სააკაშვილს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაამეტებაში აღანაშაულებდნენ. მათი მტკიცებით, სააკაშვილის ქმედებებმა ოდესის საპორტო ქარხნის გასაყიდი ფასის შემცირება გამოიწვია, რის გამოც სახელმწიფო 6.5 მილიარდი გრივნი დაზარალდა. მოკლედ, რისი მოპარვაც საქართველოში ვერ მოასწრო ამ დაშნაკმა, ახლა მის კომპენსაციას ახდენს უკრაინაში, მაგრამ უეჭველია, რომ მრუდე ხელის პატრონი სააკაშვილი აუცილებლად იპოვის შარს უკრაინაში. იქამც ყოფილა!



დიდი პოეზის პატივსაცემი საყვარელი



დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე რეზო ამაშუკელი დღეს ხმალოდღეული რომ იბრძვის საქართველოს, ქართველი ერის ინტერესების დასაცავად, თურმე წარსულშიც ასეთივე შემართებით ებრძოდა ეროვნულ მოძრაობას.

ჩემი მისდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, თავს უფლებას ვაძლევ გულსიტყვილითა და სინანულით აღვნიშნო მისი დამოკიდებულება ეროვნული მოძრაობის, ზვიად გამსახურდიას, თვით ქართველი ერის მიმართ 90-იან წლებში.

გაზეთი “პირისპირ” (1997 წ. №3) აქვეყნებს ინტერვიუს ბატონ რეზოსთან, სადაც პოეტი მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და გულწრფელობით გვიმხელს დიდ საიდუმლოს – “ე.წ. ეროვნული მოძრაობა” კრიუჩკოვის კაბინეტში ყოფილა დაგეგმილი!

“თანამოაზრეებთან ერთად თბილისი ფეხზე დაგვეყენე სამოქალაქო ომის პერიოდში და მე ხმადავღა ვაცხადებ, მთელი ჩემი ცხოვრება მიჰყვებოდა “მრგვალები”, მიჰყვებოდა იმიტომ, რომ მე კარგად ვიცი სადაც იყო დაგეგმილი მათი მოღვაწეობა” – კრიუჩკოვის კაბინეტში დაგეგმილი ე.წ. ეროვნული მოძრაობა. ამბობს ბატონი რეზო და კრიუჩკოვის კაბინეტში მოყურადღებულად გვარს არ ასახელებს, გასაგებ მიზეზთა გამო.

ახალგაზრდა მკითხველებს შევახსენებ, რომ კრიუჩკოვი იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (“კაგებე”, სუკი) უფროსი 90-იან წლებში.

მთელი და დაიჯერე, თუნდაც დიდი პოეტის ნათქვამი, რომ “ეროვნული მოძრაობა კრიუჩკოვის კაბინეტში დაიგეგმა”.

ალბათ აგენტმა კრიუჩკოვის კაბინეტშიდან შეგნებულად ყალბი ინფორმაცია მიწოდდა, თორემ ბატონი რეზო ამას როგორ იტყვოდა?

ჩვენ კარგად გვახსოვს სახელმწიფო გადატრიალების დღეებში ბატონი რეზო ამაშუკელის ხელმძღვანელობით ე.წ. “თბილისელები” როგორ აქტიურად ეხმარებოდნენ პუტჩისტებს. ეს ის “კარენი” თბილისელებია, რომლებიც ეროვნული ხელისუფლების დასაცავად რაიონებიდან თბილისში ჩამოსულ ჭეშმარიტ ქართველებს ზიზღით “სუნანებს” რომ ეძახდნენ!

“ერთსავე გეტყვით, ბევრი ჩამოღის და პროფესორი და აკადემიკოსი ხდება, მაგრამ თბილისელებია, ის სული თბილისელებს რომ აქვთ, მათთვის ხელმძღვანელობია და განზე რჩებიან” – ეუბნება ბატონი რეზო გაზეთის კორესპონდენტს.

ჰაი გიდი! ივანე ჯავახიშვილს, დიმიტრი უზნაძეს, შალვა ნუცუბიძეს, ილია ვეკუას, ჯანაშიას, მუსხელიშვილს და მრავალ გენიალურ ქართველ მეცნიერებს თბილისური სული არა ჰქონიათ!

არც ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, კოტე მარჯანიშვილს, გალაკტიონს, ლადო ასათიანს, გოგლა ლეონიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, შალვა დადიანს და მრავალ სხვა გენიალურ ქართველ მწერლებსა და პოეტებს თბილისური სული არა ჰქონიათ!

არა ჰქონდათ და არც არასდროს აღვნიშნავთ ზოგიერთებივით: ჩვენ განსაკუთრებული, თბილისური სული გვაქვს!

1646 წლიდან 1921 წლამდე, თითქმის სამასი წლის მანძილზე თბილისის ქალაქის მერები სომხები იყვნენ – ბეიბუდიანცე-ბიდან დაწყებული ენკიტციან ტიგრანამდე დამთავრებული. მხოლოდ, 1921 წელს ედირსა თბილისის ქართველი მერი სილიბისტრო თოდრაია!

სულაც არ არის გასაკვირი არსებობდეს “სული თბილისელობისა”! ეს სული აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთ თავს ამჟამად “კარენებს” რომ ეძახიან და დედაქალაქში ჩამოსულ ქართველებს დაცინვით რომ უყურებენ.

კინტოებისა და სოლომონ ისაკიჩ მიჯღანუაშვილების შთამომავლებსა თა-ვიანთი სულის შემსახამისი ე.წ. ქალაქური სიძღვრები და ცეკვები შემნუს, რომლებიც ისე ბანს-ვაგდება ქართული სიძღვრებისა და ცეკვებისა, რომორც ცა და მიწა! თბილისელობის სულიდან მოვიღი ქალაქური სიძღვრები აუტყობებს ქართულ მუსიკას. საქმე იქამდე მივიდა, რომ “ფალახ-ოს” მართო ქორ-ფილემო კი არ უბრავენ, არამედ საბარემო საქმეთა სამინისტროს დიპლო-მატიკის ამ უცხოურ ჰანგზე “ტანცაობენ”!

“რატომ აქვს ხალხს ასე შეზღუდული მენსიერება, რატომ აღარ ახსოვს ზვიად გამსახურდიას განადგობილი რომ არის ეს შუღლი” – ამბობს ბატონი რეზო. მხედველობაში აქვს შუღლი ქართველებსა და ოსებს, ქართველებსა და აფხაზებს შორის.

ზვიად გამსახურდია დაბადებული არც იყო, როცა სეპარატისტული აფხაზები და ოსები შეიარაღებულ აჯანყებებს აწყობდნენ და საქართველოს სახელმწიფოებრივ მთლიანობას მაშინ ანგრევდნენ, როცა საქართველოს უჭირდა.

გავისხენოთ სეპარატისტი ოსების სისხლიანი აჯანყებები 1918, 1919, 1920 წლებში, მაშინ როცა თურქეთი საქართველოს დაპყრობას აპირებდა!

გავისხენოთ 1919 წლის 11 იანვარი, როცა შეიარაღებულმა ოსმა სეპარატისტებმა სოფელ ალაგორში მცხოვრები ქართველები დედა-ბუდიანად ამოწყვიტეს. ეს გენოციდია, მაგრამ საუბედუროს “სული თბილისელობისა” სეპარატისტებს აგულიანებს: ეს შუღლი თქვენი ბრალი არ არის, ქართველების ბრალია!

მეოთხედი საუკუნეა ზვიადი ცოცხალი აღარ არის, აღარც “მრგვალებს” ეკითხებიან არაფერს, მაგრამ სეპარატისტები კვლავ სეპარატისტობენ.

ნუთუ საქართველოს წარსულიც, აწმყოც და მომავალიც მხოლოდ ზვიად გამსახ-

ურდიას და “მრგვალების” ბრალია? ბატონი რეზო ამაშუკელი მისთვის კიდევ ერთ ფრიად საჩოთირო საკითხზე საუბრობს. ამბობს, “შეგარდნაძე თითქმის მუხლებზე ჩოქვით იხვეწებოდა, ნუ შეხვალთ აფხაზეთში...”

აფხაზეთში შეგარდნაძის ბრძანებით 1992 წლის 14 აგვისტოს ბანდ-ფორმირებებს სწორუპოვარი გენერალი კიტოვანი შეუძღვა და ასევე სწორუპოვარმა ქურდმა – პოლიტიკოსმა იოსელიანმა აფხაზეთი მხედრობისთვის სათარეშოდ აქცია!

დევნილობაში მყოფმა ზვიად გამსახურდიამ 1992 წლის 14 მაისს მიმართვა გამოაქვეყნა. “მოგმართავთ, როგორც ქართველებს, ასევე აფხაზებს, ვინაიდან საფრთხეშია ჩვენი საუკუნოვანი ძმობა... მოგიწოდებთ მშვიდობისაკენ, გაერთიანებისკენ, ყველა სადავო პრობლემის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტისკენ. მე მოვუწოდებ აფხაზ მოსახლეობას იმოქმედოს პარლამენტზე, რათა მან შეწყვიტოს ანტიქართული პოლიტიკა, წინააღმდეგ შემთხვევაში აფხაზეთში გარდაუვალი იქნება სისხლისღვრა”.

აფხაზეთის სეპარატისტულმა პარლამენტმა ყურად არ იღო ეს მიმართვა და 1992 წლის 14 აგვისტოს პუტჩისტების შეიარაღებული ბანდ-ფორმირებები აფხაზეთში შევიდნენ.

იმავე დღეს, ზვიად გამსახურდიამ გამოაქვეყნა მიმართვა: “მე მოვუწოდებ ქართველ ხალხს, კავკასიის ხალხებს, მთელ მსოფლიო საზოგადოებას, ყველა კეთილი ნების ადამიანს დაიცვას გენოციდისგან მცირერიცხოვანი, მრავალტანჯული აფხაზი ხალხი, აფხაზეთის ქართული მოსახლეობა, საკადრისი პასუხი გასცენ შეგარდნაძის დამსჯელ ბანდებს და ამხილონ მისი მტაცებლური პოლიტიკა გენოციდისა და პარტო-გაღვივებისა”.

დამერო! ზვიად გამსახურდიას აბრალევენ აფხაზი ხალხის სიძულვილსა და შუღლის ჩამოგდებას?

ზვიად გამსახურდიას ბრალი ყოფილა ისიც, რომ “ბუმბერაზ მოაზროვნეს” მერაბ მამარდაშვილს, ფილოსოფოსს “ვეროპას რომ შეშურდებოდა” (რ. ამაშუკელის სიტყვებით) სიცოცხლე მოუსწრაფა.

მამარდაშვილის ახრით ქართული ხასიათი ეფუძნება “კერპთაყვანისმცემლობის მოთხოვნისკენ, ყალბად გაგებულ პატრიოტიზმს, ჩამორჩენილობას, საკუთარ თავში შეგარებულობას, ამპარტანობას, რწმენას, რომ ყველაზე კარგები, ჭკვიანები ვართ”!

განსხვავებით მამარდაშვილისგან დიდი გერმანელი ფილოსოფოსი პეგელი ქართველებსა და ჩერქეზებს ასე ახასიათებს: “კავკასიურ რასაშიდა აღწევს გონი აბსოლუტურ იგივეობას თავისთავთან. აქლა შედის გონი სრულყოფილ დაპირისპირებაში ბუნებითობასთან, თავისთავს იმეცნებს თავის აბსოლუტურ დამოუკიდებლობაში, თავს აღწევს მერყეობას ორ უკიდურეს შორის, აღწევს თავისთავის განსაზღვრას, თავის თავითობის განვითარებას და მით მსოფლიო ისტორიას წარმოშობს” (პეგელი, გონის ფილოსოფია. თბ., 1984 წ. გვ. 63).

ვის დაუჯეროთ? პეგელს თუ საბჭოელ მარქსისტ ფილოსოფოს მამარდაშვილს, რომელიც გენიალურ რუს მწერალ თეოდორ დოსტოვესკიზე ამბობდა: “მსჯელობის დონეზე, ის უბრალოდ სულელია” (კრ. მ. მამარდაშვილი, თბ., 2007 წ. გვ. 77).

თუ დაუჯერებთ იმ ფილოსოფოსს “ვეროპას რომ შეშურდებოდა”, ქართული აზროვნების განუვითარებლობა მართლმადიდებლობის ბრალი ყოფილია!

“რუსულმა აზროვნებამაც და მართლმადიდებელმა ქრისტიანობამაც ჩვენ უფსკრულში გადაგვჩენა”. წერს “უფლისმიერი ფილოსოფოსი” (მ. მამარდაშვილი. ცნობიერების ტიპოლოგია. თბ., 2001 წ. გვ. 190).

ხანდაზმული ფილოსოფოსის მამარდაშვილის გარდაცვალებას ბატონი რეზო ზვიად გამსახურდიას აბრალეებს.

დევნილობაში მყოფი ზვიადი ხანდაზმულ შეგარდნაძის გარდაცვალებას რომ მოსწრებოდა, აუცილებლად იტყოდნენ:

სწორედ გამსახურდიამ მოუსწრაფა სიცოცხლე მსოფლიო დონის პოლიტიკოსს! ბატონი რეზო ამბობს: “ჯერ კიდევ ციხის საავადმყოფოში დაუდგინეს ფსიქიური გადახრები... ამ ადამიანმა მხოლოდ დაანგრია და გააპარტახა საქართველო”!

ნუთუ დიდმა პოეტმა არ იცის, რომ საბჭოთა კავშირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში სხვაგვარად მოაზროვნეებს ფსიქიკურ აშლილობებს აბრალევენ!

ნუთუ დიდმა პოეტმა არ იცის ის, რომ საქართველო დაინგრა და გაპარტახდა არა ეროვნული ხელისუფლების ათოვიანი მმართველობის პერიოდში, არამედ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, შეგარდნაძის მმართველობის დროს, რაც დღემდე გრძელდება!

ბატონი რეზოს ახრით უსიძოვრად ავადმყოფია არა მხოლოდ ზვიად გამსახურდია, არამედ ასითასობით აღამიანი საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მიტინგებზე რომ დადიოდნენ და “მრგვალ მამიდას” ხმა მისცეს. “თუ გადავხედავთ მათ მასას, თუნდაც დღევანდელი “ეროვნულ-ობისას” ჩემზე უკეთ თქვენ შეამჩნევთ იმ იდიოტურ სახეებს, რომელთა მიტინგებმა და კლაკატებმა დაანგრია დღევანდელი საქართველო”, – ეუბნება ბატონი რეზო ბაზეთის კორმ-სკონდენტს. რომორც ვხედავთ, ბატონი რეზოს ახრით, ჭკვიანები შეგარდნაძის მომხრეები ყოფილან, ხოლო ისინი ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის იბრძოდნენ – იდიოტები! ასეთია პოეტის დიაბნოზი.

ამას იგი ვერ გაიგებს, რადგან გვეფიცება: შეგარდნაძის “გვერდით დგომა არის ჩემი ორიენტირიც, გადაწყვეტილებაც და ჭკვერტაც ხვალინდელი დღისა”!

იქნებ მე ვერ ვუგებ ბატონ რეზოს და შეგარდნაძის გვერდით დგომა დანაშაულებად მიიჩნია?

დაე, მკითხველმა განგესაჯოს.

თენგიზ კუპლაშვილი



ისაპ სათაპზარო მოცაეულოზის უასასაპ



სერბი საჯაია

სერბი!
შენი (მთლი, ვისაუბროთ შენობით) წერ-
ილის კითხვას ერთგვარი შიშით შეუვლექი.
მეგონა ჩემი ქება-დიდება იქნებოდა და
ამით უხერხულობას შემიქმნიდი, მაგრამ,
მადლობა ღმერთს, ასე არ აღმოჩნდა
(ერთი შემთხვევის გარდა – “აბუმბერაზ-
და”), დაცულია ზომიერება. ჩემი ლექსი
გამოყენებულია ფონად, მასალად, შენი
საკუთარი შეხედულებების წარმოსახენად,
საკმაოდ რთული თეორიული მსჯელობების
გასამყარებლად, საერთო ტკივილის
გამოსახატავად. ეტყობა, ლექსი კარგად
მოერგო შენს სათქმელს. შენ ზუსტად
დავინახავს, შევინიშნავს ლექსის (ვალი-
არებ, ეს უფრო პუბლიცისტიკაა, მაგრამ
ამგვარ პოეზიასაც აქვს არსებობის უფლებ-
ა) არსი, მისი დაწერის მიზეზი და
საკუთარი. მადლობელი ვარ!

მომეწონა წერილის პათოსი. მასია მოვან
შენმა კეთილდამოკიდებულებამაც...
მინდა ორიოდე შენიშვნაც გამოთქვა
(თუმცა შენს უფლებებში არ ვერევი):

1. ჩემთვის მიუღებელია ქვეყნის პრეზი-
დენტის (როგორც არ უნდა იყოს) ამგვარ
კონტექსტში მოხსენიება;

2. არც “ვინმე” ინგა გრიგოლიას “შენებ-
ურ შეფასებას ვისურვებდი;

3. (ეს პრინციპულია) გვარების დასახ-
ელებისგან თავს შევიკავებდი. ვთქვათ,
ჯემალ გამახარია. ჯემალი რა შუაშია?
მე მასთან (თბილისში დაბრუნების შემდეგ)
არავითარი ურთიერთობა არ მქონია, ის
არ არის ჩემი ლექსის პირდაპირი
ადრესატი. უბრალოდ, ის არ დაინტერესდა
ჩემი მდგომარეობით (რას იხამ! მაღალი
თანამდებობა ხშირად ამაღლებს ადამი-
ანს...). სხვა ამბავია, ლექსში გამოთქმული
სატიკვარი მასაც ეხება, როგორც ხელისუ-
ფლების წარმომადგენელს... ასე რომ,
ჩემთვის გაუგებარია მსგავსი ბრალდება:
“დღეს თქვენ ხიშტით ხედებით სახალხო
გმინავს და ამ ლექს-განცხადებასაც...” ან
რას ნიშნავს “ლეგისფოთლად თავდად-
გენილი”?

როგორმე მოახერხე, რომ წერილში არ
იყოს ეს გვარი. ხომ შეიძლება სათქმელი
ისე ითქვას, გვარი არ დასახელდეს? შენ
ეს არ გაგიკვირდება.

4. ამერიკის ელჩის მოხსენიებაც ხომ
არ არის საწილო?

მომეწონა სიტყვა “შემოცულებუ-
ლი”.

ვისურვებ წარმატებას.

მურმან ხურცილავა

პასუხი ან მურმანს

1. გეთანხმებით, ქვეყნის პრეზიდენტს,
მნიშვნელობა არა აქვს ის უბადლო
ქრისტიან მხედარია თუ საუნაგრო “მეც
ნახიზნახიზნა”, სანამ მთლად საქსოვი
ჩხირებით არ დასაქმდება, ანუ ოდნავ
მანაც რადგან შერჩევა სახალხო ნდობა,
პატივივებით უნდა მოიხსენიო. ეს ასეა.
სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე
გვაქვს არათუ “სელის მუჭველ” (რუს-
თაველი) არა იმ საქმით დაკავებულთან,
მეტეც, ჩვენ უტიფრად გვეყოველდურიება
ქართველი ერისთვის სულში ჩამფურთხე-

ბელი (“ნინურტა” – მე ქართველი ვარ”
და არა მხოლოდ ეს, მისი ყოველი პირ-
გადება ერთნულ სიწმინდეებთან სისხლამ-
ღრვეთა განმარტებაა, სირცხვილი და
თავის მოჭრა ყოველთა ქართველთა).

დაიხ, მეთქი, აქ ამჯერად ურთიერთობაა
გასარკვევი წინამდებარე პოლიტიკურ დგამ-
თან, რომელიც ლაპარაკობს იმას, რასაც
კარნახობენ ევრო-ატლანტიკური რასიზმის
ნამესტნიკები, იგი სწორედ ამ ქვეშევრ-
ძეების მეტეზური განხლავთ, თან სულაც
ერთ ადგილზე დაიკიდებდა სრულიად
საქართველოს ნებას, ის ადგილი რომ
ჰქონდეს!..

ასეთ შემთხვევაში მე არ შემიძლია, არ
ვუთხრა საზოგადოებას, თანაც ზუსტი
შესატყვისებითა და შესაბამისი შორის-
დებულებით არ განვუმარტო თუ რა სარეგ-
ულაა ეს ჯოლოკეტი-მეთქი, მინდოდა მეთქ-
ვა!..

2. არც მე ვისურვებდი, ის, რომ არ არ-
სებობდეს მისთვის თავმოსაწონ ასეთ
ფორმაში, რომელსაც არაკეთილმოსურნე
ძალები “ღირებულებად” გვახვევენ თავს.
ეს მაშინ, როდესაც ქართული სადიქტორო
სკოლიდან ქალბატონები ქეთევან ლანდია,
ლია მიქაძე, ვანეცა არჩვაძე, დონარა კინ-
წურაშვილი, სხვები და სხვები თავიანთი
მაღალი გემოვნებითა და სწორმე-
ტყველებით ქართული ენის კეთილშო-
ბილებას განუფენდნენ საზოგადოებას და
ამაყებდნენ ერს.

რა შორსაა იგი ასეთი სიდიადისგან!
არადა, ამას როგორ ხედავთ და თავხედის
თავაწყვევით ცდილობს სრულიად
საქართველოს დატუქსვას. სადამსჯელო
კოცონს უნთებს გიორგიანულ ღირებულე-
ბათა შინაარსსა და აზროვნების წესს!..
მეტეცა ვეტყვით: სულაც საფეხსალაგო
შემოგუმბათებაა მისთვის “ვაშინერსი”,
ხოლო დვთივწდომილი ნანავე ან კიდევ
თოლივე და შურივე გადმონაშთებთან მი-
მარტახებულ ყავლასულობად დაიდგინა!

3. რაც შეეხება ბატონ ჯემალ
გამახარიას “ლეგის ფოთლად” თვით-
დადგენას, ამ შემთხვევაში ეს იმას ნიშნავს,
რომ მან სავესებით ნებაყოფლობით
გაიპიროვნა აფხაზეთის არ-ის უმაღლესი
საბჭოსა და ა. შ. როგორც ოდიშაფხ-
აზეთში იტყვიან, “თელი ღურას” მაგვარი
საქმიანობის მიმდარდავის მოვალეობა (მა-
ლიან რბილად ვამბობ).

თუ მას ეს ლექსი არ წაუკითხავს, ან
მასში გამოთქმული სახალხო ამრისხ-
ანებათა ადალადება დღემდე არ გაუგია,
ე. ი. ის ვერ არის ჯეროვანი ხელმძღვანელი
და თავს ვერ ართმევს თანამდებობით
დაკისრებულ საქმეს.

4. აშშ-ს ელჩები, როგორც დრო ადას-
ტურებს ამას, ფაქტობრივი საქმიანობით
უფრო აქაური ნამესტნიკური ადმინის-
ტრაციის ხმელგომი ფუნქციონერები და
ღირებულების თითისმქნეველები ბრძანდუ-
ბიან, ვიდრე თიბლომატიკური წარმომად-
გენლები საკუთარი სახელმწიფოსი!..

როდესაც ამა თუ იმ სახელმწიფოს
ელჩი უტიფრად გიფათურებს ხელს ღირსე-
ბაში და ცხვირს უდაგილოდ გიკვეხებს
არა თავის საქმეებში, მას თუ არ უზა-
ქარია მხარეკმელებს, ის მაინც უნდა შესძ-
ლო, რომ მისი ფეხისდაბაკუნება იაფანად
არ გაიმაფშადიო!..

ბატონო მურმან, წინამდებარე განმარ-
ტების შემდეგ როგორც მორწმუნე კაცს
(წესით, ილორის წმინდა გიორგის (იდილოს
მისი სახელი) მრევლს) შეგახსენებთ –
ტყვეთა განმათავისუფლებლისა და მეფეთა
უძღვეველი წინამძღოლის შეშუსა და
ბორზალს, – გარწმუნებ, ტყვეთა გათავი-
სუფლება მობრძიდებებით არ ხდება. მეორეც,
ხნობრივ კომპრომისს ამორალიზმი ჰქვია.
არ შეგეშინდეს, ეს ლექსი კვარცხლ-
ბეკია საქრისტესმხედრო, აი, რა უნდა
დაიჯერო შენ!..

პატივისცემით,

სერბი საჯაია

მეგობრის ხსოვნას

ქორნიკონის 93-ე წლის წინ – 1923
წლის 10 მარტს, ერასტო ჯოლიასა და
ლუბა კვარაცხელიას ოჯახში თოფის
პირველი ატყვია, რაც მათ წყველები იყო
სოფელი შეიღის მამანტი ჯოლიას
დაბადებისა. დაიბადა ის გალის რაიონის
სოფ. შეშელეთში, იმ სოფელში, სადაც
ერასტო ჯოლია გმირად აკურთხეს და
დაჯილდოვდა იმ დროისთვის უმაღლესი
წოდების ჯილდოთი – ლენინის
ორდენით. მამანტის დედაც – ლუბა
კვარაცხელია უკვირგვინო გმირი იყო...
სოფელში ისიც სხვებისგან გამოირჩეოდა
ნიჭიერებით, თავაზიანობითა და
კაცთმოყვარეობით და ეს სრულებითაც
არ იყო გასაკვირი. თავისი საგვარეულო
გენეზისით – კვარაცხელიების
წარმომავლობით – მათ ხელობად
ჰქონდათ უჯიშობიდან ჯიშინების
გამოყვანა. სახელი “ლუბა” მას
სათნობისთვის შეარქვეს, რაც
ქართულად “გულში ჩასახუტს” ნიშნავს.
თვისობრივად ასეთი ჯანსაღი გენების
მქონე ოჯახში იზრდებოდა მამანტი.
ლუბასა და ერასტოს ოჯახი სოფელსა
და მთელ რეგიონში ერთ-ერთი
პირველთაგანი იყო პირველებს შორის.
მათი ავტორიტეტი კიდევ უფრო შორს
გაიტყორცნა ორი სახელგანთი
ვაჟიშვილის – ჟორას და ვენორის
გამაჩინებამ, რომლებმაც მშობლების
ნაკვალევზე შექმნეს შესანიშნავი ოჯახი.
მამანტი და მისი ძმები იმ სოფელში
იზრდებოდნენ, სადაც კონსტანტინე
გამახარიას „მთავარის მოტაცების“
ლეგენდარული გმირის – თარაშ
ემხვარის სისხლი სისხლთაგანი და
ხორცი ხორცთაგანი – ემხვარები
იზრდებოდნენ. დაიხ, იმ სოფელში
იზრდებოდნენ, სადაც წინამდებარეობათა
გადაღახვით ბრახმორეულმა ქაჩახიხებმა
ქვა ჩახიხეს, იმ სოფელში იზრდებოდნენ,
სადაც აკადემიკოს ილია ვეკუას
ცნობიერებაში ცათამბჯენების
დრეკადობის თეორია მუშავდებოდა;
ასეთი ტრადიციების მქონე სოფელში
პირველებს შორის ჯოლიების პირველ
ადგილზე ყოფნა მხოლოდ მათ
ღირსებაზე მეტყველებს.

ეს ადევდა უფლებას წინაპრთა
კვარცხლბეკზე შემდგარ ერასტო ჯოლიას
მამულითის ემცნო: “მეც ერთი შეიღი
გავზარდე, ვფხვებთან მეომარი”. მამანტი
1940 წელს წარჩინებით დაამთავრა გალის

მე-2 საშუალო სკოლა. მისი
თანაკლასელები იყვნენ ცნობილი პოეტი
ხუტა ბერულავა, შალვა ნუცუბიძის
ღირსეული შემკვიდრე, ფილოსოფიის
მეცნიერებათა დოქტორი ვენორი ქაჩახია
და სხვები და სხვები...
გამოიწვრიტნენ და დაეაჯილდუნენ ისინი
საქართველოს დამსახურებული
პედაგოგების – თამარ გეგიას, გიორგი
ტორუას, შალვა ჩხობუას და მაკარია
ასვანუასა და სხვების
სიბრძნისმეტყველებით. ასეთ შევირდებზე
უთქვამს დიდ შოთას: “...გონიერსა
მწვინელი უყვარს, უზუნურსა გულს
გმრიდეს”... ამ გონიერების
სიბრძნეურობილმა მამანტიმ სკოლის
დამთავრების პირველსავე წელს
ბრწყინვალე ჩაბბარა მისაღები გამოცდების
სოხუმის პედინსტიტუტის ისტორიის
ფაკულტეტზე და გახდა პირველი კურსის
სტუდენტი. სწორედ მაშინ მოუსწრო მას
დიდმა სამაჟლო ომში. იგი სტუდენტთა
შორის პირველი წავიდა მოხალისედ.
ტყვეობის ხეტევაში განგლო მთელი ევროპა
და, ორდენებით მკურდამშვენებული, შინ
მხოლოდ 1947 წელს დაბრუნდა.

მეტეცე ნებისყოფამ, მოვალეობისადმი
პასუხისმგებლობამ და შესაშურმა
პრინციპულობამ მას შეუძლებელი
შეადგინა...
ომის შემდგომ უმძიმესი პერიოდი
დადგა, მაგრამ ვეკლა სიბნელეს
გაუმკლავდა... მიიღო უმაღლესი
განათლება, შექმნა შესანიშნავი ოჯახი.
ზრდიდა შესანიშნავი შვილებს – ლიანას,
თაზის და ოლეგს. მუხლწაუსრებლად
მუშაობდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა
პასუხსაგებ თანამდებობებზე და
მიუხედავად იმისა, რომ კიდევ და კიდევ
შეეძლო ბევრი საგმირო საქმეების კეთება,
პენსიაზე გავიდა აფხაზეთის არ
უშიშროების კომიტეტის კონტრდაზვერვის
უფროსის თანამდებობიდან, პოლკოვნიკისა
და საქართველოს დამსახურებული
წყისტის წოდებით.

დაჯილდოვებული იყო ქების
სიგელებით, მედლებით, ვახტანგ
გორგასალისა და ღირსების ორდენებით.
ასეთი ბრწყინვალე ბიოგრაფიის მქონე
დიდი მამულიშვილი გავაცილეთ
უკანასკნელ გაზაზე...
მშვიდობით!!

**მარად შენი უმცროსი მეგობარი,
აკოლონ კონჯარია**

არც გვირახი ბაუთხრია, ვერც ღრუბელ-ღრუბელ ფრენით შემოუღწევია – ჩაუძროლა ამ ოცნება „ნაციონალებს“ ქარიშხალ „მეთიუსავით“

დასრულდა არჩევნები და ძალიან ბევრი
მიხვდა, რომ ტყუილად იცემდა გულზე
მჯიღს. ვარაუდები გამართლდა: პარლამენტის
მანდატები „ოცნების“, „ნაციონალების“ და
„პატრიოტების“ ხელში აღმოჩნდა. არც ერთი
მადლობელი არ არის ამომრჩევლის. „ოც-
ნებას“ მეორე ტური არ უნდოდა, „ნა-
ციონალებს“ მეტი ადგილის დაკავება სურ-
დათ (გივის აფეთქების მასშტაბის
გრანდიოზულობაც ვგონებ) და „პატრიოტებს“
რა აღარ სურდა!..

ერთი, „ნაციონალებისგან“ გამწარებული
წერდა, „ქოცებს“ არ უქებნიათ, თორემ გივის
შავარშია შემოვლელი, გადიდებული
პორტრეტიც ექნებოდათ 5 ოქტომბრის 16
საათის აქციაზე წარსადგენად, როგორც
მთავარი ატრიბუტი. მართლა აკლდა 5 ოქ-
ტომბრის აქციას „ნაციონალური მარილი“
– არც ზღვა ხალხი იყო და, მგონი, არც
სატელევიზიო ანბა... კი გაიძახოდნენ, სულ
ფულით ჩამოყვანილები იყვნენ მაგ აქციაზეო,
მაგრამ არ მჯერა მე ეგ! არაერთი სპეცნაამ-
შრომელი იქნებოდა შერეული 20, 30 და 50-
ლარიან „აქციონერთა“ შორის!

მიშა ტყუილების ლაპარაკს დასწევია!..
არადა, რას აღარ ბოდავდნენ ტენიანებული
„ნაცები“: სარფთან არის მომდგარიო, ბიძინას
ტიტის ხის მარშრუტით მოცურავსო, მარუხის
უღელტეხილთან დგას ისე, როგორც ბუხაიძე
– მტრის წინააღმდეგო... ჩაუქროლა ამ ოც-
ნებამ „ნაციონალებს“ ქარიშხალი „მეთიუსავი-
თ“...
„ნაციონალების“ საცოდაობას დაემატა
სუიციდის ვერგაბედაც. არც ნიკანორს
მოუწია „მამიი, მამიი, საყვარელო ჩემო
მამიი“–ს ძახილმა და არც ხუციშვილისგან
დამარცხებული ბერძენიშვილი გადამხტარა
მდინარეში. როგორც ჩანს, მდინარის წყლის
სიმკრივე, ტემპერატურა, მინერალების შემ-
ცველობა არ აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც
იდეალურად თვლის ფილოლოგოსი დევანი!
თუ ბერძენიშვილი დაეყინება აპირებდა
(ჩაყვინთვას არ ვახსენებ სპეციალურად, ჩა-
– ხმინწინით საუბარი ბიძინას პერეოვა-

ტივია!), სამაგიეროდ, უსუფაშვილმა პოლი-
ტიკური აღმინიზმის მოკლე კურსი
წავაკითხა! ჯერ ევერესტზე ასვლაა ძნელი,
მერე უფრო რთული – ჩამოსვლააო, –
ბრძანა დავითმა და მორჩილად შევეგუა ორ-
პროცენტაინი პარტის ლიდერის სტატუსს.
ბიძინასეული კოალიციის დანარჩენ
წევრებს ხალხმა თვალნათლივ დაანახვა მა-
თივე ელექტორატული ფასი: „პანტი“ 1-პრო-
ცენტიაო. „მრეწველები“, რაც თავი
მასხოვს, მარადმწვანე პარლამენტარები არიან
და დაუყენეს პოლიტიკური შემოღვრება ამომ-
რჩევლებმა. 26-მა ნომერმა „გუბაზი ი ვეო კა-
მანდამ“ დიდი რიხით დაწყებული საარჩევნო
კამპანია მოკრძალებულად დაასრულა:
არჩევნებამდე ჩვენ ვიყვრეთ, ახლა თქვენ
ითაცვემეთ, რესურსები ამოგვეწურაო. მჭკიაუ-
რის პარტიამაც გაიბრძოლა მომაკვდავივით,
მაგათ მოუყვდი მე, სოლიდარულობის პრინ-
ციპით...
„გივის ბომბის“ პრინციპით, ნათელაშვილ-
მა, ბურჯანაძემ, ბურჭულაძემ და არაერთმა
სხვამ კი იმოქმედეს, მაგრამ რად გინდა:
წინასწარჩვენო ხმაურს მათივე პოლიტიკური
უკანალის მობრძღვნის მეტი არა მოჰყოლია
რა!
გული არ დასწყედეს „თავდემებს“ და ორი-
ოდე სიტყვა, როგორც სჯიბრისსუფლო
გამოსათხოვარი, შევაწოთ! ვგინც კოალიცი-
ის პირმშობი არიან! აღასანამ ისევ უმარ-
ილო გადაწყვეტილება მიიღო. ქართული
პოლიტიკის ყველაზე ლამაზმა მამაკაცმა
პოლიტიკური სუიციდი თუ ხარაკირი მოუწყო
გოგუაძის იმედად დარჩენილ „კაბელიან“
პარტიას და გორიდან გადმობარგება
გადაწყვიტა!
P.S. აღასანის გორელი დიასახლისი ეუბ-
ნება: შეიღო, ირაკლი, რად მიდიხარო? –
რა ვიცი, ბაბო, აქ ავტორიტეტი დამეკარგაო...
უხერხულად შეიშეშნა მოხუცი: აქ, შეიღო,
თუ ვინმეს რამე მოჰყვება, არასდროს ეკარგე-
ბაო, და ყოველი შემთხვევისთვის კიდევ
ერთხელ დაათვალე რა სახელი...

„ბიჭი ღღისით-მზისით ისე მოკლეს, ნიღბებიც კი არ ეკეთათ“ – შვიარალბული თავდასხმა და ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა



„ისეთი განცდა მაქვს, რომ ირგვლივ ყველა უბანში სამოეხები და განგსტერული დაჯგუფებებია შექმნილი, რომლებსაც არაფრის ეშინიათ“

ბოლო ხანს ღამის თვე არ გადის, რომ ქვეყანაში ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულის შესახებ არ გავრცელდეს ინფორმაცია. ამ ცოტა ხნის წინ, ქალაქის ცენტრალურ უბანში მომხდარმა მკვლელობამ, როდესაც დღის საათებში, ხალხმრავალ ქუჩაზე მიმავალ ავტომობილს თავს დაესხა ერთი პირი, ერთი ადამიანი მოკლა, მეორე კი დაჭრა, ჩვენი საზოგადოება გვარაიანად შოკირდა. ორი დღის წინ კი, ვარკეთილში კიდევ ერთი თავდასხმა და ისევე დღის საათებში, საცხოვრებელი კორპუსის ეზოში მოხდა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, რამდენიმე ადამიანი თავს დაესხა იუზიდ ქმებს გვარად სადოვეებს, ერთი 34 წლის რამაზი ცეცხლსასროლი ჭრილობებით გარდაიცვალა, მეორე კი მძიმედ დაიჭრა. დანაშაულის გამოძიება სისხლის სამართლის 179-ე მუხლით მიმდინარეობს.

ლია შონია: – ჩვენ ეზოში, დღის საათებში საშინელი დანაშაული მოხდა, ბავშვებს ღამით აქამდეც არ ვუშვებდით გარეთ, ახლა კი დღისით სიარულიც საშიში გახდა. ისეთი განცდა მაქვს, რომ

ირგვლივ ყველა უბანში სამოეხები და განგსტერული დაჯგუფებებია შექმნილი, რომლებსაც არაფრის ეშინიათ, ყველას თვალწინ „ბორჯაობენ“ და ხოცავენ ხალხს. სამეზობლოს საუკეთესო ბიჭი მოგვიკლეს, იუზიდები არიან, კარგი ხალხი... ორი შვილი ჰყავდათ, რამაზი და მისი ძმა...

სროლა რომ გავიგონეთ, მთელი კორპუსი ეზოში გამოვარდა, ნუთუ რა უნდა დაეკავებინათ ამ ბიჭებს, მოსაკლავად რომ გაემეტებინათ. როგორც ამბობენ, ეს ამბავი უბრალო შელაპარაკებისა და გინების გამო მომხდარა. ახლა ამბობენ გარდაცვლილი რამაზი ნასამართლები იყო; მაგრამ ის არც მკვლელი ყოფილა და არც ყჩაღი. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ახალგაზრდობაში მანაც შეცდომა დაუშვა და ციხეში ამის გამო მოხვდა. როცა გათავისუფლდა, მუშაობაც დაიწყო და ოჯახსაც მოეყვინა, 3 წლის და წლის ბავშვები დარჩა ობლად.

– დანაშაულს უშუალოდ შეესწრო ვინმე, მაინც რა მოხდა?

– ძმები ეზოში სოლიდურ ხალხთან ერთად ისხდნენ სკამზე და საუბრობდნენ. ამ დროს მოვარდა მანქანა, იქედან 4 კაცი სროლითა და ღრიალით გადმოვიდა, ისე რომ ვერაფერს გაიანზრდა, რა ხდებოდა. მიშველებს ვერაფერს მოახერხა, ყველაფერი სწრაფად მოხდა, იქ მყოფებმა დავეიერებაც ვერ მოახერხეს, მათ შორის, ვერც რამაზის ძმამ, რომელიც ფეხებში მძიმედ დაჭრეს...

რთული სიტუაცია გვაქვს, უბნებში კრიმინალური სამოეხები ყალიბდება და ერთმანეთს ხოცავენ. კაცი დღისით-მზისით ისე მოკლეს, რომ ნიღბებიც არ ეკეთათ... აშკარაა, რომ მოსახლეობაში როგორც დაკანონებული, ასევე არაღებულური იარაღი მრავლადაა.

საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის ფლობასა და ტარებაზე სპეციალურ ნებართვას მომსახურების სააგენტო გასცემს. როგორც ირკვევა ღი-

ცენხის მისაღები პროცედურა საკმაოდ მარტივია.

ვის შეუძლია მიიღოს ნებართვა იარაღის ფლობასა და ტარებაზე?

მოქალაქეებს 18 წლის ზემოთ შეუძლიათ ფლობდნენ სანადირო და სპორტული ტიპის იარაღს (კარაბინი, სანადირო შაშხანები, საფანტის და სხვა), ხოლო პისტოლეტის შექენა 21 წლიდანაა შესაძლებელი.

როგორც გავარკვიეთ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრი, ცალკე აღებულად, ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულის აღრიცხვას არ აწარმოებს. აღნიშნული პასუხი ჩვენ მიერ გაგზავნილი მოთხოვნის საფუძველზე მივიღეთ, რაც ნამდვილად უცნაურია, მით უფრო ისეთ პატარა ქვეყანაში, სადაც საკმაოდ დიდი რაოდენობის მკვლელობები სწორედ ცეცხლსასროლი იარაღით ხდება.

გეპორტალ gunpolicy.org-ის მონაცემებით კი საქართველოში 2000-2014 წლებში აღრიცხულია ცეცხლსასროლი იარაღით განზრახ ჩადენილი 2263 და შემთხვევით ჩადენილი 227 მკვლელობა, ასევე სუიციდის 157 ფაქტი.

ამავე საიტის მონაცემებით, რომელიც დათვლილია 2000-2010 წლების მიხედვით: აშშ-ში ცეცხლსასროლი იარაღით დღეში, საშუალოდ, 78 ადამიანი იღუპება, აქედან 6 მოზარდი (0-18). 157 სრულწლოვანი ადამიანი და 32 მოზარდი კი იღუპს დაზიანებას.

2000-2010 წლებში ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი მკვლელობების და სუიციდის შემთხვევების სტატისტიკური მანველებლები ქვეყნების მიხედვით კი ასეთია:

- აგსტრალია** – განზრახ მკვლელობის 392, ხოლო სუიციდის 2090 ფაქტი;
- აგსტრია** – 168 განზრახ მკვლელობა, სუიციდი – 2507;

ჩეხეთი – 268 განზრახ მკვლელობა, სუიციდი – 1738;

დანია – განზრახ მკვლელობა 77, სუიციდი – 511;

ფინეთი – 247 განზრახ მკვლელობა, სუიციდი – 2181;

საფრანგეთი – 1339 განზრახ მკვლელობა, 1663 – სუიციდი;

გერმანია – 870 განზრახ მკვლელობა, 9050 – სუიციდი;

ისლანდია – 4 განზრახ მკვლელობა, სუიციდი – 49;

დიდი ბრიტანეთი 356 განზრახ მკვლელობა, 1125 სუიციდი;

მსოფლიოში დაახლოებით 876 მილიონი ცეცხლსასროლი იარაღია მიმოქცევაში.

აქვე გთავაზობთ მსოფლიოს მასშტაბით, იმ ქვეყნების სტატისტიკას, სადაც ყოველ 100 ადამიანზე ყველაზე მეტი იარაღი მოდის. ეს არის სტატისტიკა სამოქალაქო კუთვნილების (რეგისტრირებული) იარაღის შესახებ. რა თქმა უნდა, ზუსტი ციფრების ჩვენება შეუძლებელია, მაგრამ ეს არის ყველაზე მიახლოებითი მანველებლები.

- ამერიკა – 89; იემენი – 55; შვეიცარია – 46; ერაყი – 39; სერბეთი – 38; კვიპროსი – 36; საუდის არაბეთი – 35; ფინეთი – 35; ურუგვაი – 32; შვედეთი – 32; ნორვეგია – 31; საფრანგეთი – 31; კანადა – 31; ავსტრია – 30; ისლანდია – 30; გერმანია – 30; ომანი – 25; ბაჰრეინი – 25; ქუვეითი – 25; მაკედონია – 24; მონტენეგრო – 23; ახალი ზელანდია – 23; საბერძნეთი – 23; გაერთიანებული ემირატები – 22; ჩრდ. ირლანდია – 22; ხორვატია – 22; პანამა – 22; ლიბანი – 21; გვინეა – 20; კოსოვო – 20; პაკისტანი – 12; მექსიკა – 15; იტალია – 12; რუსეთი – 9; ინგლისი/უელსი – 6; უკრაინა – 9; ბრაზილია – 9; სამხრეთ აფრიკა – 13; არგენტინა – 13; ესპანეთი – 11; თურქეთი – 13; ინდოეთი – 4; ჩინეთი – 3; ირანი – 5; პოლანდია – 3.

თომარ მარამი
გიორგი მუსაშვილი

საუზმე არუჩე მგერს – სნობილი ქართველი ექიმის ჩავოლუსია ღიაგოლოგიაში



ლევან ბოკერია გახლავთ ექიმი კარდიოლოგი, პროფესორი, უძლიერესი კარდიოქირურგი. ამ სპეციალისტთან მოხვედრაზე ბევრი ოცნებობს. ის ძირითადად რუსეთში მოღვაწეობს და ბევრი პრეზიდენტის პირად ექიმადაც მიიხსენია. პაციენტებზე მზრუნველმა ექიმმა საფუძვლიანად შეისწავლა ადამიანის ორგანიზმის ყველა თავისებურება და დადო დასკვნა, რომ მამაც თავდაყირა დააყენა მთელი დიეტოლოგია.

ჩვენ გვიმტკიცებენ და გვასწავლიან, რომ საუზმე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. თითქოს სწორედ საუზმე არის პასუხისმგებელი ადამიანის ორგანიზმში ნეოთერებათა ცვლის პროცესზე და რომ საუზმის გამოტოვება არავითარ შემთხვევაში არ არის რეკომენდირებული. ღეო ბოკერია კი ამტკიცებს, რომ მან იცის, როგორ უნდა გახდეს ადამიანი დიეტების გარეშე. პროფესორის მტკიცებით, ამისთვის საკმარისია მხოლოდ საუზმეზე უარის თქმა. უცნაურია, არა? ვერაფერს იტყვი. ისე, საუზმის გამოტოვება ხომ უფრო ადვილია, ვიდრე ვახშმის?

შეცდომები, რომლებსაც

ვუშვებთ საუზმობის დროს

გთავაზობთ ბატონ ლევან ბოკერიას რჩევებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ვიკვებოთ, რომ სასურველი წონა და ჯანმრთელობა შევინარჩუნოთ:

– ყოველ დღით სრულფასოვანი საუზმის მიერთება მიზანშეწონილი ნამდვილად არ გახლავთ. აბა, წარმოიდგინეთ, თქვენ ახალი გაღვიძებული ხართ, ორგანიზმიც თანდათან იღვიძებს და ემზადება მუშაობისთვის. ამ დროს თქვენ მიუჯდებით სხადილო მაცივას და მიერთებთ ერთ მოზრდილ ულუფა ხორცს ან ძეხვის მოზრდილ ნაჭერს, აყოლებთ ერთ დიდ ჭიქა რამე წვენს, ჩაის თუ სხვა ენერგეტიკულ სასმელს, მერე მოწესრიგდებით და მიდიხართ სამსახურში. ამ დროს სისხლი საკვებით გაჯერებულ კუჭს მიეძალება, რათა მომწელებელი სისტემის სრულფასოვანი მუშაობა უზრუნველყოს, ეს კი მთელი სხეულის მოდუნებას იწვევს. მე გისვამთ კითხვას, როგორ უნდა ამუშაოთ თქვენ, სრულფასოვნად, ამის შემდეგ?

ჯერ კიდევ ძალიან დიდი ხნის წინ ვაკვირდებოდი ადამიანებს და ხშირად ჩემს ყურადღებას იქცევდა ის ფაქტი, რომ ამერიკელი ქირურგები დილაობით არაფერს მიერთებდნენ, დიდი-დიდი, შეიძლება, დილით ერთი პატარა ფინჯანი ყავა დაეღობათ. შუა დღეს კი, ლანჩის დროს, მიერთებდნენ რამე სუნდინს ან ბუტერბროდს. ძირითად საკვებს ისინი სადამოთი, სახლში მისვლის დროს გვახლენ ბოდნენ, რის შემდეგაც ცოტას წაივარჯიშებდნენ, წაიკითხავდნენ გაზეთს ან წიგნს ან უყურებდნენ საინტერესო ტელეგადაცემას.

ამდენად, გირჩევთ, საუზმე მისცეთ მტერს, სადილად ცოტა მიერთოთ და საღამოს კი, თუმცა არა ძალიან გვიან, კარგად ნაყრიანად ივახშეთ, შემდეგ კი ცოტა წაივარჯიშეთ. ჩემი დაკვირვებით, ქვეყნებში, სადაც ადამიანები დიდხანს ცოცხლობენ, სწორედ ასე ცხოვრობენ.

როგორც იცით, ამერიკელები, კვების განსაკუთრებული რეჟიმის გამო, მუდმივად უჩივიან ჭარბ წონას. დღვიდ ლევიციომ, საქვეყნოდ ცნობილმა პროფესორმა, ხანგრძლივი გამოკვლევების შედეგად უტყუარად დაადასტურა, რომ კვირაში სულ რამდენიმე საუზმეც რომ გამოტოვოს ადამიანმა, იგი საგრძნობლად დაიკლებს წონაში და თავს უკეთესად იგრძნობს.

თუ თქვენ გახდომას გსურთ, შეგიძლიათ სცადოთ კვების ეს სქემა. მხოლოდ დიაბეტით დაავადებულ ადამიანებს ვერ გავუწვეთ საამისოდ რეკომენდაციას, რადგან ისინი მუდმივად უნდა აკონტროლებდნენ ორგანიზმში შაქრის ნორმას. სხვა შემთხვევაში ეს საკმაოდ მისაღები სქემაა.

იმისათვის, რომ შედეგი უფრო აშკარა და ეფექტური იყოს, გირჩევთ მინიმალური ფიზიკური დატვირთვა მაინც გქონდეთ და ეცადეთ უარი თქვათ ზოგიერთ პროდუქტზე.

ლევან ბოკერია გვირჩევს თავი შევიკავოთ მიუსღის, ძეხვეულის, მომინანქრებული ხაჭოს, სწრაფი მომზადების ფაფებისა და სუპერულის კონცენტრატებზე დამზადებული საჭმელის მიღებისგან. ასევე არ არის რეკომენდებული ნაყიდი წველების მიერთება, რომელთა დასამზადებლად გამოიყენება სხვადასხვა ემულგატორები და დამატებლები.

მეტირანების სახელმწიფო სამსახური ბანცხალებს ავრცელებს

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური შემდეგი შინაარსის განცხადებას ავრცელებს:

„მეტირანთა ვეტერანებო, გილოცავთ ვეტერანის დღეს. დიდ მადლობას მოგახსენებთ სამშობლოს წინაშე თქვენს მიერ გაწეული ღვაწლისთვის, გისურვებთ მხნეობას, ჯანმრთელობას და წარმატებას. მომავალ თაობას დაღუპული გმირების სახელები გაგუცოცხლოთ და ყოველთვის ვიდგეთ ჩვენი ქვეყნის მშვიდობის სადარაჯოზე. ჩვენი სამსახურისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ვეტერანის სახელის დაფასება და აღიარება, ჩვენი ვალა ვემსახუროთ მათ, ვინც სამშობლოს კეთილდღეობისთვის არ დაიშურა ყველაზე ძვირფასი – საკუთარი სიცოცხლე და მათაც, ვინც დღემდე დგას საქართველოს სამსახურში. მშვიდობას გისურვებთ და კიდევ ერთხელ მოგახსენებთ მადლობას თქვენი უანგარო სამსახურისა და თავდადებისათვის“, – ნათქვამია განცხადებაში.





„აღამის სხეულით ვაჭრობა უკრაინაში სააკაშვილის ოჯახურ ბიზნესად იქცა“, – ამ სათაურით უკრაინული გამოცემა Slovo.net.ua ვრცელ სტატიას აქვეყნებს. სტატიის თარგმანი Ambebi.ge-მ გაავრცელა.

„სანდო წყაროზე დაყრდნობით მივიღეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 2015 წლის იანვარში, ექიმების ჯგუფს, რომლებიც სხეულის ნაწილების ტრანსპლანტაციით არიან დაკავებული, კიევიში მიხეილ სააკაშვილის მეუღლე სანდო რულოვის ახლდა თან.

კიევიში ვიზიტისას სანდო რულოვის უკრაინის ჯანდაცვის მინისტრს, ალექსანდრე კვიციანიას და სამხედროებს შეხვდა.

თავის მხრივ, ვეროპელმა ექიმებმა, რომლებიც სანდო რულოვთან ერთად იმყოფებოდნენ, უკრაინელი კოლეგები დაატრენინგეს, თუ როგორ მოახერხონ

მინიმალური რესურსების პირობებში ტრანსპლანტაციის მაქსიმალური შედეგის საველე პირობებში მიღება.

მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი, გენერალი მუჟენკო სქემის ეფექტურობაში დაარწმუნა. სქემა კი შემდეგში მდგომარეობს:

ზონაში დაშავებულებს და ახლად გარდაცვლილებს ქართველი სამხედროებისა და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ სპეციალურ ტრანსპორტში გადაიყვანენ, რომელიც საჭირო ინსტრუმენტებით იქნება აღჭურვილი და ექიმები ორგანოების ამოღებას გზაშივე შეძლებენ, ხოლო უფრო რთული ოპერაციისთვის ხარკოვში, დნეპროპეტროვსკში განლაგებულ სტაციონალურ პუნქტებში გადაიყვანენ.

აღამის ორგანოებს საჭირო ქვეყნებში ავიატრანსპორტით გადააგზავნიან, ხოლო „გადამუშავებული მასალა“ უგზო-უკვლოდ დაკარგული სტატუსს მიიღებს.

აღამის ორგანოებით ვაჭრობის სქემა, რომელსაც „რულოვის“ უწოდეს, წარმატებულად იქნა აპრობირებული მიმდინარე წლის თებერვალში, როდესაც 82 ჯარისკაცი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

გასულ წელიწადს ეს ბიზნესი იულია ტიმოშენკოს ადვოკატმა სერგეი ლოსენკომ ჩააგდო, რადგან „აზოვის“ ბატალიონის კომანდირმა ს. სემენჩენკომ

ვერ მოახერხა დავალების კარგად ორგანიზება და აღამის „უხარისხო“ ორგანოები გადააგზავნა. აღნიშნულ საკითხზე ლოსენკოსა და გერმანელი ექიმის სატელეფონო საუბრები მედიაში გაავრცელდა.

სანდო რულოვის ორგანოებით ვაჭრობის დიდი გამოცდილება აქვს, რადგან საქართველო სააკაშვილის რეჟიმის დროს ერთ-ერთ წამყვან პოზიციას იკავებდა აღამის ორგანოების აშშ-სა და ვეროპაში გატანის მხრივ.

სანდო რულოვის ორგანიზებით, პატიმრებს, რომლებიც ციხის საავადმყოფოში ხვდებოდნენ, ორგანოებს აცლიდნენ და გარდაცვალების მიზეზად სხვადასხვა დაავადებას ასახელებდნენ. მათ ბალზამირების დროს კვეთდნენ ორგანოებს და ამის შემდეგ უბრუნებდნენ ოჯახის წევრებს გარდაცვლილს.

შავ ბაზარზე ერთი აღამის ორგანიზმიდან ამოღებული ორგანოების საერთო ფასი 1 700 000 დოლარს აღწევს, – ნათქვამია სტატიაში, რომელიც Slovo.net.ua-ში გამოქვეყნდა.

საინტერესო ისაა, რომ ამდენი სარწმუნო მამხილებელი მასალების გამოქვეყნების შემდეგ უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო თავს არ იწუხებს საიმისოდ, რომ სამსახურებრივი მოკვლევა მაინც დანიშნოს აქ მოყვანილი ამაზრზენი დანაშაულის

დასამტკიცებლად ან გასაქარწყლებლად. მაგრამ, როგორც ჩანს, პოროშენკომ თავდაცვ კარგად იცის, რომ სააკაშვილის ოჯახის ამ დანაშაულებრივ ბიზნესს ვერ მიახუმათებს და მოსალოდნელი უსიამოვნებების თავიდან აცილების მიზნით არჩევს, რომ საერთოდ არ გააკაროს ოდესის გუბერნატორის და მისი პოლიტიკური ცოლადწოდებული არარაობის ბიზნესს, რომელშიც ვეროპელი და ამერიკელი მღალა ჩინებიც არიან ჩართული. ნურც იმ თეზას გამოვრიცხავთ, რომ „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“, და ამდენად, სავარაუდოა, რომ აღნიშნულ ბიზნესში თვით პეტრო პოროშენკოც იყოს ჩართული, რადგან დამატებითი მილიონების შოვნას მილიარდობით უფრო არიან დახარბებული, ვიდრე ჩვეულებრივი მოკვდავები.

მართლაც, ძნელად წარმოსადგენია ჩვეულებრივმა აღამიანმა იკადროს ის, რასაც მიხეილ სააკაშვილის და სანდო რულოვის აღვირახსნილი ოჯახური ტანდემი კადრულობს.

მაგრამ ბაწარი რაც უნდა გრიხო, ბოლო მაინც შეგრჩება ხელში. ამიტომ, უმჯობესია, რომ ოდესის გუბერნატორი და მისი უხელო ცოლი ციხის საკანში გაასრულდნენ დარჩენილ უბადრუკ სიცოცხლე!

რ. შალამბერიძე

ვაქა-ფუაველას წერილი არჩევნებთან დაკავშირებით

გთავაზობთ ქართველი მწერლის ვაქა-ფუაველას წერილს არჩევნებთან დაკავშირებით:

„ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ამ სიტყვებით გაიფიქრეთ არა მარტო აღამიანთა ყურები, არამედ ქვებიცი კი; არა დროს ჩვენის ქვეყნის დაარსების შემდეგ, არა გვერდის ასე მძლავრად და საყვედლოდ როდისმე მსმენოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა, როგორც ესმას ამ წარსულ წლებში და დღესაც ესმის და მომავალ წლებშიც გაიფიქრებს.

მაშასადამე, უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს, თუ რაა ერთი, მეორე ან მესამე. ორს ტერმინს რომ სულაც თავი დავანებოთ და მხოლოდ მესამის ძალა, ე.ი. რას ჰქვია თავისუფლება, ის შევივსოთ, ესეც კმარა, რადგან ძმობა, ერთობა მარტოდენ შტოება იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვია. საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვით ძმობა-ერთობას, იქ შეუძლებელია მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯვას და მგლობას; მგლების ბანაკი ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით ცხვრის ფარა, საცა ნაგარდობენ მგლები... საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეირებენ? ან რა ძმობა შეიძლება მათ შორის?... თუ შეუძლებელია, მოუთავსებელი და მოუხერხებელი მგლებისა და ცხვრების შერეობა, რადღა ვფიქროთ, რად ვიძახოთ ამ ძმობა-ერთობას? ვიძახოთ და უნდა ვიძახოთ, მაგრამ მგლებს ხომ არ ვიძახოთ, არამედ დაქსაქსულ-დაფანტულს, დაწიოკებულს ცხვრებს, რომ მოუყარონ თავითავს, შავრთდენ, მოიფიქრონ როგორ მოუარონ თავისთავს, რათა მგლების საჭმელ ღუკმად აღარა ხდებოდნენ, უნდა გამოიგონონ საფარი და გზა სავალი... მგლებს ამ დროს იქ რა ესაქმებათ? ამ დაძახილზე ისინი თითქოს ყურსაც იყრუებენ, არც მოგლეენ, ხოლო თავისიანებს, გაგიმარჯლოს, რომ მგლებიც კი ძმობა-ერთობას უქადაგებენ. თუ ასე არ მოქმედენ, ხომ დაეკარგათ ძალა და ცხვრებმა სათითაოდ, თუმც ამ უკანასკნელთ არა აქვთ გააღმასებელი კბილები, გაათავეს რქებით და ჩლიქებით?! ძმობა ხომ იმას მოასწავებს, როცა ერთს მგელს გაუჭირდება, მეორე უნდა მიეშველოს. ეგრეთვე თუ ცხვარი-ცხვარს.

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ მგლებს ისე არ ესაჭიროებათ ერთობა, როგორც ცხვრებს, რადგან თვითუფლებს მგელს საკმა ძალა აქვს ცხვრებთან საბრძოლველად, – ძალა, რასაკვირველია, ფიზიკური, რომელსაც ისინი ხმარობენ ცხვრებზე. ცხვრების ძლიერება კი ერთადერთი ზნეობრივი ძალაა...

დღესნამდის ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მგლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით. ჩვენ ვიტანჯებოდით, ვირბოდით და ამ რბევა-ცარცვამ

გვაფიქრებინა მიგვეფიქრა ერთობისათვის, ერთი პირი, ერთი ფიქრი მოგვეპოვა და ამით შეგვეძინა ძალა... ჩვენ მოვისურვეთ თავისუფლება: განუკითხავად არ ეჭამა და ეპარსა ჩვენი თანამომქმენი მოსისხლე მხეცებს... ჯერჯერობით ამაში გამოიხატება ჩვენი წადილი თავისუფალი სიცოცხლისა, რომ ძალმომრეობას გზა მოვტაცოთ და თანდათან სრულიადაც მოვსპოთ იგი.

თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება აღამიანის ნდობა-მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, ვანხორციელება ნებისა, აზრისა, გრძობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთიერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერთი დამონებულია და დამონებული უწეო, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.

იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა უნებურად, ჩემ მიერ ნებადაურთველად სხვა ისაუთრებს? მე ვცნობ, ის იცინის და ჩემში მტაცებლის მიმართ მხოლოდ ზიზღი და გრძობა შურისძიებისა სდუღს და გადმოიღის. მინდა ვისწავლო და ნება არ მეძლევა; მინდა ჩემი საკუთარის ხარჯით დავგარსო უნივერსიტეტი და უარს მეუბნებიან; და სხვ. და სხვ...

არ მინდა ვილოცო ის მშვენივრად მორთულ-მოკაზმული კერპი, რომელსაც შენ ჰლოცულობ.

იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემი დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?! რა გული უნდა მქონდეს მაშინ? რას უნდა ვგრძნობდე?! – სხვას არაფერს, გარდა ზიზღისა, მიუღვარებისა. მეწამულ-მოშამულია ჩემი სიცოცხლე, ვგრძნობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და გწყველი იმ ძალებს, იმ მგლებს, რომელნიც ყველა ზემოთ აღნიშნულ საქმეში ხელს მიშლიან, წინ მედობებიან და გუცდი მარჯვე წიბოხვევას შეგმუსრო ისინი... როცა ეს დრო დგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასათრუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა. და უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა, არა მძულს ჩემი მზავრელი ძალა; იქნება მძულს კიდევ, მაგრამ ამ მიუღვარებას გულში ვმალავ; მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი, ვიდრე მონაა. არა, მიუღვარება როცა გოდურესობამდეს მიდის, მაშინ ლაჩარული გრძობა ისპობა, მაშინ ამბობს აღამიანი: ან მოგკვდები, ან ვიძლეე ჩემს მტარჯველთ!.. არ იძლევა, არ დამარცხდება მზავრელი

ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერთი გაღატოტი, თავგამოდებით „სიკვდილი ან სიცოცხლე“ (ე.ი. თავისუფლება)?! – იტყვის და ამბობს კიდევაც, ამას ჩვენი თვალთ ვხედავთ. აშკარად ვგრძნობთ ყველანი... მაშასადამე, სწანს მისმა მიუღვარებამ მგლებისადმი უკიდურესობამდე მიაღწია. თუ ეს ფაქტია, ნამდვილი მოგლეენა, მაშინ იცოდეთ, სიკვდილი აღარ შეგვაშინებს, მაშინ ყველა მზად იქნება თავი დასდოს თავისუფლებისათვის და გამარჯვებაც უსათუბა. ამიტომ, ვიმეორებ. ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძლოს მთელის თავის არსებით, გულით და გონებით მტარჯვალნი და მტარჯვალთა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით აღამიანს შეუძლიან მედრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად. და რა არის ეს თავისუფლება, რატომ არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნება, რომ მე ჩემებურად განმარტო ეს სიტყვა: თავისუფლება ხალხისთვის მტარჯვალთაგან წართმეული ბედნიერებაა. ბედნიერება წართმეულს რა ჰრჩება უბედურების მეტი? – არაფერი. კიდევ იმ-იტომ არის, რომ უბედურად ჰგრძნობს თავის თავს ყველა დამონებული, თავისუფლებას მოკლებული ერთი და პიროვნება. წართმეული სარგებლობენ ამ ნაყანაღარის ბედნიერებით მხოლოდ ცოცხლებით ეს ნადავლი, მოპარული ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად ხდება. გადაავლეთ თვალნი მთელს რუსეთს და ჩვენს ქვეყანას, აშკარად დაინახავთ, რომ ეს ასეა. დღეს ხალხი იბრუნებს იმას, რაც წართმევს და წართმეული გახლავთ, მოკლედ რომ ვთქვათ, ბედნიერება – წართმეული დღეს ტირის, ხოლო გაცარცული მღერის, მხიარულობს, რადგან დანაკარგს პოულობს. წართმეულს იბრუნებს. თავისუფლების ქურდები ბოლო ჯამს მუდამ დასჯილან. როდისა დგება ეს ბოლო ჯამი? – სწორედ მაშინ, როცა ხალხი თვალთა ახელს, როცა თავის ყოფა-მდგომარეობის აუტანლობასა ჰგრძნობს და მხედავს, გაიცნობს იმ შავ ძალებს, რომელთაც წართმევს ბედნიერება, – სძულს ისინი უსაზღვროდ; სწორედ მაშინ ცდილობს შეგმუსროს თავის დამმონებელნი...

რას თხოულობს თავისუფლება აღამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი აღამიანი? – თავისუფალი აღამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ მხედავს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება აღამი-

ანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის. მაშასადამე, მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, – არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედგას სარწმუნოდ, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამაგნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის. ყველა ჩვენგანი ხალხისათვის მტაცებელი თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარჯვალთად. ამ თავისუფლებისას მტარჯვალნი ათასნაირს ჯაჭვ-ბორკილებს სჭედენ, ხაფანგებს, გაზებს, თავში სცემენ კეერებს და საღრრბელის ბოძებს სდგამენ... ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზავებულს შხამ-ნაღველს, საწამლავს უშხავებენ და იმას აწვიდან. ბოლოს კი თითონ რჩებიან მოწამულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი იტანს ამ საწამლავს, იგი ისევ ხალხად რჩება, იმარჯვებს, ხოლო მტარჯვალთა გული მიწაზე ერთხობა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების წართმეულს უფრო იმათ ჰგნებს, ვინც თავისუფლებას ჰპარავს, ართმევს ხალხს და მსურს იმით მარტო თავად ისარგებლოს. თავისუფლების მტაცებლებზეა სწორედ ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზა: „ვირმა პალო მოაძობს და იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც თითონ იკრა“.

ხალხის მმართველნი, რომელნიც ამ უადრესს უგუნურებას ჰშვებიან და ხალხის მონებად გადაქცევენს ცდილობენ, გარდა იმისა, რომ თავიანთ წოდებას მტარჯვალნი ზნეობრივ და ფიზიკურად, ხალხსაც აფუჭებენ. დამონებული ერთი მუდამ ბენაგია შინაურთაში და რა თქმა უნდა ბენაგია და სუსტი გარეშე მტერთან საბრძოლველად. მაშასადამე, თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერთი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე.ი. ბედნიერი... თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია.

ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩევლად წოდებისა და გვარისმილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებობისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება.

მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა, – წერს ვაქა-ფუაველა.

მი უბოძა 75 წლისა შარ!

“და წარვსდგე ჩემს მეუფესთან, ხელდანთებული ცვილითა...”
ვაშა



აუ, რა დრო გასულა ჩემი დაბადების დღიდან?!
სამოცდათხუთმეტი წლიდან საუკუნემდე ბევრი არაფერი რჩება, თუმცა ადამიანისათვის არამც თუ 25 წელიწადი, არამედ ოცდახუთი დღეც კი დიდი დროა, მით უმეტეს, როცა უფლის მიერ ბოძებულ ჟამს დიდი რუღუნებით ითვლი...

დაბადებისთანავე მამით ობოლი გავხდი, რადგან მამა – შალვა ალექსანდრეს ძე ჯალალანია, ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, მფრინავი, სამხედრო წოდებით უფროსი ლეიტენანტი – დიდ სამამულო ომში დაიღუპა, ქერჩის ბატალიონის მესერის... დედა – ელენორა გიორგის ასული შალამბერიძე იყო ჩემი დედაც და მამაც, ჩემი უდიდესი გულშემოტივარი, ცხოვრების გზის ორიენტირი, ადამიანი, რომელმაც თავისი ყოველივე პირადული დათმობა და მთელი სიცოცხლე მე მომიძღვნა. თუმცა მუდამ ვგრძნობდი, რომ არ ვჯერდებოდი მეუღლის დაღუპვისა, მუდამ მის მოლოდინში იყო და მისი მოლოდინით გულდამძიმებული გაცვალა ამ წუთისოფელს 2002 წლის 4 სექტემბერს, ზუსტად მამაჩემის დაბადების დღეს...

მთლი და ნუ ირწმუნებ, რომ ამ მოვლენაში არ არის რაღაც მისტიკური!
ამიტომ, საოცრად მიყვარს დედაჩემი – ყველაზე მეტად, ყველაზე წრფელად, ყველაზე მონატრებულად...
ახლა შეიღებოც მკვავს, შვილის-შვილებიც, შვილისშვილის შვილიც, რომლებიც ასევე განუზომლად, საკუთარ თავზე მეტად მიყვარს, მაგრამ ისინი ვე-

რასოდეს დაიჭერენ ჩემს გულში იმ ადგილს, რომელიც სულგანათლებულ დედაჩემს უკავია.

მიჭირს ცრემლის შეკავება ამ სტრიქონების წერისას, მაგრამ ეს ალალი ცრემლია, ისეთივე კრისტალურად სუფთა, როგორც მამინ, დაბადებისას რომ წამოვიტირე პირველად!

ახლა კი სამოცდათხუთმეტი წელი გასრულდა ჩემი დაბადების დღიდან!

სამწუხაროდ, საკმაოდ გვიან ხვდება ადამიანი, რომ წუთისოფლის სრბოლა მისგან მუდამ მოითხოვს საკუთარი პიროვნებისა და ღირსების სადარჯოზე დგომას – დიახ, – არა წრესგადასულ ამბიციას და სხვებზე შენი უპირატესობის ხაზგასმას, არამედ საკუთარი ღირსების სრულყოფას, რათა უმწიკვლოდ და უანგაროდ ემსახურო სამშობლოსა და მშობელ ერს. ბევრი ამას ხმაურითა და ყიჟინით აკეთებს – ბევრი კი თავიანთი გარჯითა და ჩუმი თავგანწირვით. ამიტომ, ჩვენ არა გვაქვს რეალურ ცხოვრებაში საკუთარი როლისა და კაცურკაცობის ხარისხის განსაზღვრის უფლება – ამქვეყნიურ ყოფაში ეს საზოგადოებამ უნდა გააკეთოს, ზეციურ საქართველოში კი... უფაღმა!

ამას წინათ ჩვენმა ერთმა თანაკლასელმა 75 წლის იუბილე აღნიშნა, სადაც მხოლოდ შვიდმა კლასელმა მივიყარეთ თავი. ორნი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ მოვიდნენ. თურმე სულ ცხრანი დაჯერებული ვართ, არა და, კლასის ჟურნალში 44 მისწავლე ვირიცხებოდი!

თითზე ჩამოსათვლელია დაჯერებული ვართ, არა და, ერთ დროს ჩვენი ჟივილი-ვივილი ავსებდა სკოლის დერეფნებსა თუ ქალაქის ქუჩა-უბრებს.

სწორედ ეს გახლავთ ის სულიერი სიმარტოვით გამოწვეული სიმძიმე, რომელიც მრავალსულიანი ოჯახის მოამაგე ადამიანსაც კი დათრგუნავს ხოლმე.

ჩვენ ახლა უფრო მეტი პასუხისმგებლობა გვეკისრება, ვიდრე მამინ, როცა 44-ნი ვიყავით, რადგან იმ წასული თანაკლასელების მორალური ტვირთიც ჩვენი სახეობა!

ჩვენში დღეს, ჩვენთან ერთად, ის ჩვენი წასული თანაკლასელებიც ცხოვრობენ! მე ახლა 75 წლისა ვარ – საუკუნის

სამი მეოთხედი ისე განვვლე, რომ საბედისწერო შეცდომა არ დამიშვია, პრესისა და ლიტერატურისადმი სამსახურს მოვახმარე ჩემი შეგნებული ცხოვრება და დღესაც ამ სფეროთი ვსულდამუდლო.

ყოველგვარი ყაღბი პათოსის გარეშე ვაცხადებ – რომ არა გახეთი “ილორი”, ალბათ დღეს ცოცხალი აღარ ვიქნებოდი, რადგან ადამიანს უსაქმობა და უფუნქციობა თრგუნავს და ფოლადის ყბებით ლეჭავს! ამიტომ, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელიც ფინანსურად, ტექნიკურად, მორალურად თუ შემოქმედებითად მეხმარება გახეთის გამოცემაში, ვინც კითხულობს გახეთს და, რაც მთავარია, ვინც უანგაროდ თანამშრომლობს გახეთთან და სისტემურად მიგზავნის საინტერესო პუბლიკაციებს. მათ ვინაობას არ ვაკონკრეტებ, რადგან შეიძლება ვინმე გამომჩინოს და გული ვატკინო. ასე რომ, “ილორი” ნამდვილად მიღამაზებს პრობლემებისმოძალადეული სიცოცხლის დასის, მიუხედავად მღერის კი გაუსაძლის სულიერ თუ ხორციელ ტკივილებს.

არ დავიმდავით – უკვე ძალიან მიჭირს – ცალკეოდ ასაკი მიტევს ძალუბად, ცალკეოდ კი ვერაგი, მოურჩენელი დაავადება, მაგრამ ვცდილობ მაინც მედგრად ვიდგე. გულიანად ვაკეთო ჩემი საყვარელი საქმე, თუნდაც მოკრძალებული, ან საერთოდ შეუმჩნეველი წვლილი შევიტანი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში! მართალია, დღემდე ათასობით პუბლიცისტური წერილი მაქვს გამოქვეყნებული და ორმოცამდე საკმაოდ სქელტანიანი წიგნი მაქვს გამოცემული, მაინც მივიჩნევ, რომ ვალდი ვარ იმ სამშობლოს წინაშე, რომელმაც მიპატრონა, მასწავლა და გზა გამიკვალა მყარი მომავლისაკენ!

მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, მაინც მივიჩნევ, რომ კარგი დრო იყო მამინ, როცა ორმოცდახუთი წლისა ვიყავი და მეუღლესთან – ხელოვნებათმცოდნე დოქტორს ვიქვავი შეიღობიან ერთად გადავიღე ეს ფოტოსურათი, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოწყობილ ლიტერატურულ კონფერენციაზე. ახლა კი იმ დროის მოვლენებში ვსუნთქავთ ორივენი და ნამდვილად გვეამაყება, რომ უამრავი კარგი რამ გვაქვს გასახსენებელი. აღარ

ჩამოვთვლი ამ კარგ საქმეებს, რათა მავანთათვის დამადლება არ გამომვიდეს.

ყველაფერს აქვს დასაწყისი და ყველაფერს აქვს დასასრული. ამქვეყნიად ყველაზე ღამაზი და სახუკვარი სიცოცხლეც ასეა – შობისას დედის ამბორით იწყება და ბოლოს შთამომავლობის ამბორით მთავრდება.

ამქვეყნიური ყოფის ბოლოვამი რომ დაჰკრავს და ჩემი მეუფის წინაშე წარვსდგები გულხელდაკრეფილი, თუ მეუფე მეთხავს, რატომ არ ვიყავი ქრისტე, ამაზე პასუხი მექნება. მაგრამ თუ უფალი შემეკითხება, – რატომ არ ვიყავი როლანდ ჯალალანია, ამაზე ვერაფერს ვუპასუხებ...

ამიტომაც აუცილებელია, რომ ადამის შვილი არასოდეს დაშორდეს საკუთარ თავს, ღვთისა და ერის წინაშე ყოველთვის დარჩეს საკუთარი პიროვნების ელჩად ოჯახის, ქვეყნისა და საზოგადოებისადმი!

მოვეწოდებ ჩემი და ჩემზე უფროსი თაობის იმ ადამიანებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ განვლეს საქართველოს მტრებთან დაუნდობელი ბრძოლის ეტაპი:

ისე განვლოთ ჩვენი ცხოვრების დარჩენილი წლები, რომ გვეკონდეს დიდი ვაჟს მაგიური სიტყვების გამოცხადების მორალური და ზნეობრივი უფლება:

და წარვსდგე ჩემს მეუფესთან, ხელდანთებული ცვილითა... ამინ!

ამქვეყნიად ყველაფერი წარმავალია – მზეც კი არ არის სამარდვამო, სამარადვამო მხოლოდ ღმერთია და ის ღმერთი გწავლობდეთ ყველას, ვინც გულთადად მომილოცა დაბადების დღე, ვინც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ალაღად მენდობა და ეჭვი არ ეპარება გახეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციების მართებულობაში!

ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას გისურვებთ ყველას, ჩემო საყვარელო ადამიანებო!

ოჯახისა და სამშობლოს სამსახურში გაბეგვით და საუკუნოვანი წუთისოფელი!

75 წლის როლანდ ჯალალანია, გახეთ “ილორის” მთავარი რედაქტორი, საპატიო დოქტორი, “აიას” და “ვაზისის” აკადემიების წევრი

ზინ არის მსოფლიოში ყველაზე ღამაზი ბობონა რუსეთიდან



მსოფლიო მოდის დასავლელი ექსპერტები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მსოფლიოში ყველაზე ღამაზ გოგონას ასახელებენ – ის 10 წლის კრისტინა პიმენოვაა.

ბარბი რუსეთიდან – კრისტინა პიმენოვა

დღეს გოგონა აშშ-ს ქალაქ ლოს-ანჯელესში ცხოვრობს და ნიუ-იორკში მოდელად მუშაობს, სხვადასხვა პერსონაჟული ბრენდის რეკლამებში იღებენ და ყოველწლიურად სულ უფრო პოპულარული და წარმატებული ხდება.

მასობრივი საშუალებები, უცხ-

ური საინფორმაციო ინტერნეტ-პორტალი მისი უჩვეულო სილამაზით, ქარიზმითა და ასეთ ადრეულ ასაკში მუშაობის დიდი სურვილით აღფრთოვანებული არიან.

პატარა ვარსკვლავის სამოდელო კარიერა 3 წლის ასაკში დაიწყო – დედამ კრისტინა ამ რთულ ბიზნესში თავად მიიყვანა და ამისთვის მას არაერთხელ ადანაშაულებდნენ იმაში, რომ შვილს ბავშვობა წაართვა, თუმცა ამ შენიშვნებზე დედა არ რეაგირებდა.

ღამაზმანი დედა-შვილი მიზნისკენ ჭორებისა და მითქმამოთქმის მიუხედავად წინ თამამად მიიწევენ.

კრისტინა სრულყოფილი სილამაზის პროტოტიპად მიიჩნევა. მას სავსე ტუჩები, დიდი, ღამაზი თვალები, კოხტა ცხვირი და გრძელი თმა აქვს – ნამდვილი თოჯინა ბარბია.

კრისტინა საკუთარ ინსტაგრამ და ფეისბუქ გვერდებზე ფოტოებს რეგულარულად აქვეყნებს, თავიანთმცემლებს მის წარმატებებზე უყვება. ნორჩი ღამაზმანი მოდელი, გულმოდგინედ მუშაობს, რაც ყურადღებასა და აღფრთოვანებას იწვევს მთელს მსოფლიოში.

ლენა ხიმშიაშვილი

საპატიო თბილისელების ვინაობა ცნობილია

საპატიო თბილისელების წოდება წელს მიიღეს: ექიმებმა ლევან ჭაჭიაშვილმა და გელა მუხაშვილიამ; ვეტერანმა ფეხბურთელმა ალექსანდრე ჩივაძემ; მსახიობებმა ლალი ბადურაშვილმა, ნოდარ მგალობლიშვილმა და თამარ სხირტლაძემ; ასევე, ხელოვნების მოღვაწემ ჯემალ ჭეჭუასელმა; ლიტერატურა და მთარგმნელობითი მუშაობის სფეროში მუშაობის დიდი სურვილით აღფრთოვანებული არიან.

ილორი
– რამდენი წლისა იქნება ის ქალი?!
– ასე 38-40-42-ის.
– მე ტელეფონის ნომერს კი არ გეტოხებ!

დამკაში გასვლამ გადაბრუნება იცის და არ ვარბა.

სვანი დგას ავტობუსის განჩრებასთან, მივიღა მეორე სვანი და ეკითხება:
– შენ რა ნომერს უკვდი?
– მე 2 ნომერს, შენ?
– მე 5 ნომერს.

მივიღა 25 ნომერი ავტობუსი და ორივე ავიდა.

ცოლი ქმარს ეუბნება:
– მე რომ მოგვედო ცოლს მოიყვან?
– არა.

– ესე იგი შენ ცოლიანობა არ მოგწონს, არა!!
– ხო კიი ჯანდაბას შენი თავი მოვიყვან.

– მე რე ჩვენ სახლში მოიყვან?
– ხო.

– ჩვენ საწოლში ჩააწვენ?
– ხო.

– ჩემ მანქანას მიცემ?
– არა.

– რატომ?
– ტარება არ იცის.

გარდაცვალებული სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუხმო ომი მკლავის ნაყოფისა და ფარისებრი უარსაქონლობის, მის დაქირვანს რომ სდილობდა.

ლორინტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პეპტურს გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შველის ცერებრალურ დაზიანებას, ყურებიდან ჩირქვანს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, (3-ე პატიტის, ნადღლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზა და დოდო.

კოორდინატები: თბილისი, აჭყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.
ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან